



ბათუმის უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №13 ნოემბერი 2010

შეხვედრა რევაზ მიშველაძესთან



18 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწერლის, პროზაიკოსის, კრიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის – რევაზ მიშველაძის 70 წლისადმი მიძღვნილი იუბილე აღინიშნა. ქართველ მწერალთან შეხვედრისას ისაუბრეს მის შემოქმედებაზე, გაიხსენეს მისივე პირველი ნაბეჭები, რომელიც თამაზად ჯერ კიდევ 50 წლის წინ გადადგა. შესავალი სიტყვა აჭარის მწერალთა ეროვნული კავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პოეტმა დავით თედორაძემ წარმოთქვა. მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება პროფესორმა, იური ბიბილეიშვილმა გააკეთა. იუბილარს დაბადების დღე მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ, აჭარის ა.რ. განათლების მინისტრის მოადგი-

ლემ – აიდა აბუსერიძემ, პოეტებმა – შოთა ზოიძემ და ნომადი ბართაიამ, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა იგორ კვეცელავამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვახტანგ შამილაძემ, ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა ინგა შამილიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა მალხაზ ჩოხარაძემ. სტუდენტთა სახელით მწერალს მიესალმა დაწვებითი განათლების სპეციალისტის მეორე კურსის სტუდენტი ნათია თვალაბიშვილი.

შეხვედრის დასასრულს რევაზ მიშველაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, გაიხსენა მრავალი საინტერესო ფაქტი ბათუმელ მეგობრებთან ურთიერთობისა. მწერალი ასევე შეეხო თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს და მოიყვანა მაგალითები საკუთარი ნოველებიდან მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

ფილოსოფიის საერთაშორისო დღე

ფილოსოფიის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ფილოსოფია და თანამედროვეობა“. კონფერენცია ფილოსოფიის დეპარტამენტის ორგანიზებით იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემების წარმოსწავლას. სამეცნიერო სესიაზე მკვლევრებმა განათლების ფილოსოფიაზე, ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგებსა და მიღწევებზე იმსჯელეს. დარგის სპეციალისტებმა სექციებში - „ფილოსოფია და მსოფლმხედველობა“, „ფილოსოფია და



ინტერდისციპლინარული კვლევები“, „რელიგია და ფილოსოფია“ - 30 სამეცნიერო მოხსენება წარმოადგინეს.

„ილიას ბიბლიოთეკის“ წიგნების წარდგინება

უნივერსიტეტში „ილიას ბიბლიოთეკის“ 10 წიგნის წარდგინება გაიმართა. წიგნების სერია კონკურსის „დემოკრატიული ღირებულებები ქართულ კულტურაში“ ფარგლებში შეიქმნა. მასში XIX-XX საუკუნეების ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილებია შესული. სტუდენტებს წიგნები ცნობილმა მწერლებმა: დათო ტურაშვილმა, რატი ამადლობელმა და ლაშა ბუღაძემ წარუდგინეს. „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრებმა წიგნის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრეს და სტუდენტების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხეს.

თითოეულ წიგნს შესავლის სახით დართული აქვს თანამედროვე მწერლების, ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების სტატიები, რომლებიც მკითხველს დაეხმარება წიგნის სიღრმისეულ გააზრებაში.

- „ილია ჭავჭავაძე“ - შესავლის ავტორი გივი თევზაძე;
- „ნოე რამიშვილი“ - შესავლის ავტორი ლაშა ბუღაძე;
- „ივანე ჯავახიშვილი“ - შესავლის ავტორი გიგა ზედანიას;



- „დომიტირი ყიფიანი“ - შესავლის ავტორი რატი ამადლობელი;
- „იაკობ გოგებაშვილი“ - შესავლის ავტორი სიმონ ჯანაშია;
- „სტატიბი ემიგრაციაში გამოცემული გაზეთებიდან“ - შესავლის ავტორი დათო ტურაშვილი;
- „ვაჟა ფშაველა“ - შესავლის ავტორი აკა მორჩილაძე;
- „საქართველო პარტიარქები“ - შესავლის ავტორი ლევან გიგინეიშვილი;
- „არჩილ ჯორჯაძე“ - შესავლის ავტორი ლევან ღამბაშიძე;
- „ნიკო ნიკოლაძე“ - შესავლის ავტორი ზაზა შათირიშვილი;

XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია

XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის ფარგლებში ქართული და ქართველური დიალექტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ენათმეცნიერები ორი დღის განმავლობაში მუშაობდნენ. კონფერენცია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა. მასში ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 40-ზე მეტი მკვლევარი მონაწილეობდა. ყოველწლიური რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია განვლილ პერიოდში



ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების გაცნობას ისახავდა მიზნად.

პროფესორი დევიდ ბრაუნდი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ექსპეტრის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორს, შავი ზღვის ისტორიის მკვლევარს, ქართველოლოგს დევიდ ბრაუნდს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. მსოფლიოში აღიარებული ანტიკური ხანის მკვლევარი უკვე 25 წელია ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს ისტორიის საკითხებზე. დევიდ ბრაუნდი ავტორია 110 ნაშრომისა და 10-ზე მეტი მონოგრაფიისა. საპატიო დოქტორმა თავისი მონოგრაფიით „საქართველო ანტიკურ ხანაში“ სა-



თანადოდ შეაფასა საქართველოს როლი მსოფლიო ისტორიაში.

წიგნების განხილვა

2010 წლის 2 ნოემბერს, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტბელ აბუსერიძის აუდიტორიაში, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა უნივერსიტეტის ასოც. პროფ. არჩილ ბერიძის მონოგრაფიის „აღზრდის საძირკველი“ და პროფ. გურამ ჩაგანავას ექსპერიმენტული ნაშრომის „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ პრეზენტაცია-განხილვა, რომელსაც პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ა. ბაკურიძე, რექტორის მოადგილეები: აკად. დოქტორი ი. ბარამიძე, პროფ. შ. მახაჭაძე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფესორი ლ. თურმანიძე.

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ. ნ. ბარამიძემ აუდიტორიას წარუდგინა განსახილველი წიგნები და მოკლედ ილაპარაკა ავტორების მეცნიერული მუშაობის ძირითად მიმართულებებზე.

წიგნების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: ი. ბიბილეიშვილმა, ნ. ბასილაძემ, აკად. დოქტორებმა: ი. კეჭაყმაძემ, ა. ზოიძემ, რ. ბერიძემ, რ. კეჭაყმაძემ და სხვებმა.


საგულისხმო მოსაზრებები და სურვილები გამოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ალ. ბაკურიძემ.

დასასრულ, აუდიტორიის წინაშე გამოვიდნენ ავტორები ა. ბერიძე და გ. ჩაგანავა, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას, განხილვაში მონაწილეობას და უპასუხეს გამოთქმულ შენიშვნებს.

ორიგინალური ნაშრომი

არის წიგნები, რომელთა გამოსვლისთანავე იგრძნობა, რომ ახალი, ორიგინალური მოსაზრებები მოდის მეცნიერებაში.

არჩილ ბერიძის მონოგრაფია - „აღზრდის საძირკველი“ იმდენ მეცნიერულ სიახლეს შეიცავს, რომ არ შეეცდებით, თუ მას ასეთი წიგნების რიცხვს მივაკუთვნებთ.



რაში მდგომარეობს ეს სიახლეები?

1. ავტორს საკვლევედ აღებული აქვს ჯერ კიდევ წარსულში წამოჭრილი, მაგრამ დღემდე გადაუწყვეტელი და საერთოდ, ძველად გადასაწყვეტი პრობლემა ადამიანებში ბოროტი და კეთილი საწყისის გენეზისის შესახებ;

2. ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მეცნიერებების მონაპოვრები ასე ფართო მასშტაბით ფაქტობრივად პირველადაა გამოყენებული პრაქტიკული მნიშვნელობის პედაგოგიური პრობლემების გადასაწყვეტად;

3. ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში შესწავლილია ენის ამოღებამდე და ფეხის ადგამამდე ასაკობრივი პერიოდის ბავშვში სოციალურად დადებითი თვისებების შემუშავების პრობლემა, რომელიც დღემდე შესწავლილი არ იყო;

4. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების შესაბამისად შემუშავებულია

ბულია და ნაშრომში წარმოდგენილია აღზრდის მოქმედების სათანადოდ დასაბუთებული წესები და რეკომენდაციები, ბოროტი საწყისისაგან ადამიანის განთავისუფლების ორიგინალური ტექნოლოგია;

5. საკვლევი პრობლემა შესწავლილია ისტორიულ ასპექტში (ანტიკური პერიოდის მოყოლებული დღემდე) და შესაბამისად წარმოდგენილია აღზრდის შესახებ განვითარებული მოსაზრებები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია აღზრდის პროცესში ობიექტურად მოქმედი კანონები და კანონზომიერებანი;

6. კვლევის შედეგად დადასტურებულია სოციალურად მიღებული ფსიქიკური უნარ-თვისებების შემუშავებისა და მიუღებლის შეკავება-აღკვეთის შესაძლებლობა და ნაჩვენებია ამის მიღწევის გზები;

7. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე დამკვიდრებული სონტანურად აღმოცენებული უნარ-თვისებების კვლევის აღწერილობითი მეთოდის ნაცვლად, ავტორი მიმართავს საზოგადოებრივად სასარგებლო ფსიქიკური უნარ-თვისებების ჩამოყალიბებულ, მაფორმირებელ კვლევის მეთოდს;

8. ნაშრომის ერთ-ერთ დადებით მხარეს ისიც წარმოადგენს, რომ ავტორი გზადაგზა ცდილობს, გადაწყვიტოს კვლევის პროცესში წამოჭრილი, მაგრამ ამ ეტაპზე არასრულყოფილად გადაწყვეტილი არაერთი პრობლემა, რომლის გარეშეც ცალკეული მოსაზრებები ბოლომდე დამაჯერებელი არ იქნებოდა;

9. ვფიქრობთ, ა. ბერიძის წინამდებარე მონოგრაფიის სახით მშობლებსა თუ აღზრდელს ექნებათ დაბადებიდან ენის ამოღებამდე პერიოდში ბავშვის აღზრდის (მასში სოციალურად დადებითი თვისებების შემუშავების) საიმედო, ამასთან უადრესად ორიგინალური მრჩეველი და დამრიგებელი.

დაახლოებით 100 წლის წინათ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემდეგში მსოფლიო სიახლის მქონე ფსიქოლოგი, აკად. დ. უზნაძე თავის ნაშრომში „ფსიქოლოგია და პედაგოგია“ შემოთავაზა და წუხილს გამოხატავდა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების გათიშულობის გამო და ამ პრობლემის გადაწყვეტის იმედს მომავალზე ამყარებდა.

ა. ბერიძის მონოგრაფიას („აღზრდის საძირკველი“) ამ მხრივ ფაქტობრივად ანალოგი არ გააჩნია. ნაშრომიდან კარგად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ფსიქოლოგიურმა, პედაგოგიურმა და ფსიქოფიზიოლოგიურმა მეცნიერებებმა გადალახონ თავიანთი ე. წ. „კარნაკტილობის“ საზღვრები და გადაესკვნან ერთმანეთს აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად, რაზეც ოცნებობდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი: ფსიქოლოგი დ. უზნაძე, ფიზიოლოგი ი. პავლოვი, პედაგოგიის კლასიკოსი კ. უშინსკი და სხვები. მაგალითად, აკად. ი. პავლოვი, თავის დარგში პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი, ამბობდა, რომ დადგება დრო, როდესაც ფიზიოლოგიური მეცნიერების მონაპოვრების გამოყენება „ისინის ადამიანს იმ ამჟამინდელი წყვედიადისაგან და განწმენდს მას არსებული სირცხვილისაგან, რომელიც სუფევს ადამიანებს შორის ურთიერთობის სფეროში“.

ავტორის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება იმდენად ორიგინალურია, რომ მკითხველს შეიძლება ის საუკუნოდაც კი მოეჩვენოს, რადგან არ შეესაბამება აღზრდის ამჟამინდელ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციულ შეხედულებებს. მაგრამ ეს ეჭვი მაშინვე მოიხსნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ წარმოდგენილი დასკვნები და მოსაზრებები ავტორის ხანგრძლივი, უადრესად ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგია და ისეთი წყაროების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზეა მიღებული, რომელთაგან ბევრი მეცნიერების ოქროს ფონდშია შესული. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ახრთა სხვადასხვაობას, ტერმინოლოგიურ თუ სხვა სახის უზუსტობებსაც, რისგანაც ასეთი ორიგინალური ნაშრომი დაზღვეული ვერ იქნებოდა.

ამრიგად, ა. ბერიძის მონოგრაფია „აღზრდის საძირკველი“, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ღირებულების მქონე ნაშრომი და კარგ სამსახურს გაუწევს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი ნოდარ ბარამიძე

ცნობიერების პრობლემა აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძველზე

(რეცენზია გ. ჩაგანავას წიგნზე - „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“)

გურამ ჩაგანავას წიგნში „აპროპრიაციის ფსიქ. ექსპერიმენტული საფუძვლები“, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქტუალური საკითხის განხილვას - ცნობიერების პრობლემა აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძველზე.

ცნობიერების ფორმირება, როგორც შეფერი აღნიშნავდა, უკავშირდება ადამიანის განვითარების ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს. ფსიქიკურ განვითარებაში გენეტიკურ ფაქტორებზე მიუთითებს ფსიქოგენეტიკა და განვი თა რე ბის ეთოლოგიური (ანუ ევოლუციური) თეორია.

ცნობიერების პრობლემა მიეკუთვნება რთულ და არასაკმარისად ცხად პრობლემას, რომელიც ს. ლ. რეზინსკის მიხედვით, ცნობიერება სუბიექტის მიერ ობიექტური რეალობის გაცნობიერებაა, რაც ასახავს რეალობის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას. ერთის მხრივ ცნობიერება ყოფიერების ასახვაა, ხოლო მეორე მხრივ ადამიანის საქმიანობის რეგულატორის ფუნქციის შემსრულებელია.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ავტორი თვითცნობიერებასთან დაკავშირებულ ცნობიერების სტრუქტურაში ორ ფენას გამოყოფს: ყოფიერი ცნობიერება (მოძრაობა, თვისებები, გამოცდილება, გრძობითი ხატები); რეფლექტური ცნობიერება (მნიშვნელობა, აზრი). ამ შემთხვევაში აქცენტი კარგად განხორციელებულ ცნობიერების

სპეციფიკურობაზე კეთდება. ცნობიერების ეპიცენტრად საკუთარ „მე“-ს თვლიან. ცნობიერების ფუნქციებად კი მიხნეულია: ასახვა, წარმოქმნა და მარეგულირებლობა - შეფასებითობა, რეფლექსურობა. ცნობიერება აბსტრაქტული კონსტრუქტი კი არ არის, ის რეალური ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკური მდგომარეობაა.

მნიშვნელოვანია, ის რომ ფსიქონალიზი მივიდა ყველაზე ახლოს ცნობიერების არსის გაგებაზე. ფსიქონალიზი ცნობიერების განხილვას ფსიქიკურის თვისებად, რომელიც შეიძლება მიუერთდეს ან არ მიუერთდეს მის სხვა თვისებებს. „გამოცდილება გვიჩვენებს, ამბობს ფროიდი, რომ ფსიქიკური ელემენტი, მაგ. წარმოდგება, ჩვეულებრივ დიდხანს არ შეიძლება ყოფილიყო ცნობიერი... როგორი შეიძლება იყოს ის შუალედურ პერიოდში-ჩვენ არ ვიცით. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ლატენტური მდგომარეობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ნებისმიერ დროს შეიძლება გამხდარიყო ცნობიერი. არაცნობიერის ცნება მით ღე ბა განდევნის მოძღვრებისაგან. არის არაცნობიერის ორი სახეობა, ლატენტური, რომელიც შეიძლება გახდეს ცნობიერი და განდევნილი, რომელიც არ შეიძლება გახდეს ცნობიერი. ლატენტურ არაცნობიერს, რომელიც არაცნობიერია მხოლოდ აღწერილობით და არა დინამიური თვალსაზრისით, ეწოდება „წინაცნობიერი“, „არაცნობიერის“ ტერმინი გამოიყენება მხოლოდ განდევნილ დინამიური არაცნობიერის აღსანიშნავად. ამრიგად, გვაქვს სამი ტერმინი „ცნობიერი“, „წინაცნობიერი“ და „არაცნობიერი“. ზ. ფროიდის შემოტანილი აქვს „ხე-მე“-ს ცნება, რომელსაც მისი აზრით შეიძლება „მე-იდეალი“ ეწოდოს.

ავტორი გ. ჩაგანავა აღნიშნავს, რომ ამ ტერმინების აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან განაალიზება, ფსიქიკური სივრცის ფენოქოლოგიურ აღწერის გზაზე გვაძლევს. „ხე-მე“ უთუოდ „ქვე-მე“-ს არსებობას გულისხმობს. თუ ზ. ფროიდის მიერ არცნობიერისა და ცნობიერების მიმართულებების დაეკვირვებით მაშინ არცნობიერი ანუ ზ. ფროიდის მიხედვით „ის“ ძირითადად, „ქვე-მე“-ს უნდა შეესატყვისებოდეს (ქვეცნობიერი), თუმცა ზ. ფროიდი ამტკიცებს, რომ „ხე-მე“-ც შეიძლება არაცნობიერი იყოს. ზ. ფროიდის მოცემულობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „წინაცნობიერი“, რაც ზემოთ განხორციელებული ინტერპრეტაციის ანალიზიდან უთუოდ გულისხმობს „უკუ-მე“-ს არსებობას. რაც შეიძლება ფსიქიკურ, პერსპექტიულ, სივრცის განხორციელებასთან გაიგივდეს და ფსიქოლოგიურად სიახლოვე-დაშორებულობის ეკვივალენტად მივიჩნიოთ. ასეთი ფსიქიკური ეკვივალენტი წარსულთან („უკუ-მე“), აწმყოსთან („ცნობიერი“) და მომავალთან („წინაცნობიერი“) შეიძლება გაიგივდეს.

ავტორის აზრით, ფროიდის მიერ ცნობიერისა და არაცნობიერის

სტრუქტურირება ყველაზე უფრო მოქნილია და ფსიქიკური დროისა და სივრცის ფენოქოლოგიურად ამსახველია. ასეთი სტრუქტურა ძალიან წააგავს სამსკანელს. ადვილი შესამჩნევია, რომ ავტორის მიერ ინტერპრეტირებულ ზ. ფროიდის ცნობიერისა და არაცნობიერების მიმართულებებში ადგილი არააქვს ფსიქიკური სივრცის განედურ განხორციელებას და ფენოქოლოგიურ ეკვივალენტს, რაც აპროპრიაციის ფსიქოლოგიის მიხედვით ფენოქოლოგიურად უნდა იყოს გაიგივებული კუთვნილებასთან, საკუთრებასთან, რადგან ფსიქიკური განედური ხაზი ცოცხალ არსებათა შორის და განსაკუთრებით ადამიანთა შორის სახვე რის დამდებ, შემზღუდავ, მადიფერენცირებულ და საკუთარი (თვითნებობის) თავისუფლად განხორციელების სივრცის აღმნიშვნელად გვევლინება, წერს ავტორი. ამავე დროს, კუთვნილების, საკუთრების ეკვივალენტი ყველა სხვა ფსიქიკური განხორციელების ფენოქოლოგიზების საფუძველი უნდა იყოს, რადგან ყველა მიმართულება დაკავშირებულია დაუფლების აუცილებლობასთან.

აღსანიშნავია, რომ გ. ჩაგანავას სხვა ნაშრომში ნაჩვენებია აქვს განწყობის ზოგად ფსიქოლოგიური მოდელის სტრუქტურის აპროპრიაციული პარამეტრები, (ჩაგანავა, 2004:168-195), რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც სტრუქტურა, რომელიც მოიცავს აგრეთვე ცნობიერებას და ეს კარგად ჩანს გ. ჩაგანავას მიერ შემოთავაზებული განწყობის სტრუქტურის გაგებიდან.

გურამ ჩაგანავას ნაშრომი მაღალი მეცნიერული ღირებულებისაა. წიგნი დახმარებას გაუწევს და საინტერესო იქნება შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

შოკნა მუსხიძე

ბრძოლის ნიჭი და სიბრძნე

ქალბატონები და ბატონები, პატივცემულო სტუმრებო, კოლეგებო და სტუდენტებო, დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ხეიამია – მკითხველი თავის საყვარელ მწერალს ხვდება. ბატონი რევაზ მიშველაძე იმ რანგის მწერალია, რომელსაც ხალხი სიცოცხლეშივე უწოდებს

ღვთის წყალობაა და ამ ნიჭით ერთგულს აჯილდოებს ბუნება თუ განგების ძალა, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მწერლობის სკოლები ბუნებაში არ არსებობს. (მხედველობაში არ გვაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირში გორკის სახელობის ლიტერატურის უმაღლესი კურსები. იმ კურსებზე იგზა-

იყო ახლოს, მაგრამ სრულად არაფერს ჰმატებდა და ვერაფრით პასუხობდა იმ ბიჭების ინტერესებსა და მიდრეკილებებს, რომლებიც მთელი დღე ავტომატურად და რადიომიმდებების შეკეთება-გადაკეთებაზე ოცნებობდნენ. თვითონ ნოველის გამირი, რომელიც ვერავითარ საერთოს და საინტერესოს ვერ

გამოწვევა დამისი დროისთვის დამახასიათებელი დაპირისპირება, მაგრამ მიუღებელი მოვლენების მიმართ. მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. რევაზ მიშველაძემ ოთხასამდე ნოველი დაწერა და გამოაქვეყნა და ყველა მხილების ავსებდა მკითხველს; აფხიზლებდა საზოგადოებას – არ დაჰყოლოდა სისხლისღვრით მოსულ ხელისუფლების უტოპიურ დაპირებებს. ეს არ იყო ადვილი. თუ გაავითვალისწინებთ საბჭოთა დიქტატორული სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლების კლასობრივ ბუნებას, „სხვა-ნაირად მოაზროვნე ადამიანები“ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგნენ და სიკვდილს უყურებდნენ თვალეში როცა მამხილებელ სულისკვეთებას გააუღებდნენ ნაწარმოებში, ამიტომ ბევრი ასეთი ნაწარმოები უჯრაში ჰქონდათ შენახული ავტორებს. რევაზ მიშველაძეც იმ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ, როგორც თანამედროვეობის გამოჩენილი მწერალი ოტია იოსელიანი წერს, ბრძოლის და შემოქმედების უნიკალური ნიჭით დააჯილდოვა იგი განგებამ. ოტია იოსელიანი წერს: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ეს ყველა ქართველს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს, ეს ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, შეიძლება იცის კიდევ, მაგრამ სამწუხაროდ, რეზოსავით არ იცის.“ ფასდაუდებელია მწერალ რევაზ მიშველაძისათვის დამახასიათებელი ბრძოლის ნიჭი და სიბრძნე. მას კვებავს და ასაზრდოებს ცხოვრების ცოდნა, სამშობლოს სიყვარული და შემოქმედის მაღალი პასუხისმგებლობა.

20-30-40-იანი წლების ავადმოსაგონარი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ოჯახები დებულობდნენ ოფიციალურ ცნობებს, რომ მათი ნათესავები (მშობლები, შვილები, და-ძმები, მეუღლეები) თურმე უდანაშაულოდ იყვნენ დასჯილი და ამიერიდან ისინი არ ითვლებოდნენ ხალხის მტრებად და გამართლებულნი არიან. რევაზ მიშველაძემ ეს არ მიიღო იმ სახით, როგორც ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული. მწერალმა ამ პროცესში უზნეობა უფრო მეტი დაინახა, ვიდრე მისაღები მის წარმოსახვაში წინა პლანზე წამოიწია პიროვნების ღირსების დაცვის იდეა. რას ნიშნავს იყო სრულიად უდანაშაულო? ეს არ არის არც მხოლოდ პოლიტიკური და არც მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის კითხვა. რევაზ მიშველაძე ადამიანური ღირსების დონეზე ექვს პასუხს დასმულ კითხვაზე და ამ პასუხს თქვენ იპოვით ნოველაში “გიგილო”. ნოველის გამომავალ მიიღო მამის რეაბილიტაციის ცნობა, მაგრამ მასში მაღლიერების ნაცვლად პროტესტის გრძობა უფრო ახმიანდა და დოკუმენტი უკან მიუტანა ქალაქის აღმასკომის თავჯდომარეს და მიხუციც აუხსნა: ჩემს წარმოდგენაში მამაჩემი იყო პიროვნება, რომელსაც ამბებზე და მოვლენებზე თავისი აზრი ჰქონდა, ვიდაცა უყვარდა, ვიდაც არ უყვარდა. „მაშინ, როგორც ჩანს, საკუთარი აზრის ქონების დრო არ იყო. პატარა ფეხის არეკვას მწკობრში ზოგ-ზოგი დანაშაულად თვლიდნენ და მამაჩემიც შეეწირა თავის აზრს, თავის შეხედულებებს. მე არც კი ვიცი, მისცეს თუ არა მათ საშუალება სიტყვით და საქმით დაემტკიცებინა, რომ არაფერი საშიში მისი გონებიდან არ წარმოდგებოდა, ქვეყნის გადატრიალების განზრახვა არ ჰქონია. უბრალოდ, ფიქრიანი



კლასიკოსს. ამ რანგის ორისამი მწერალი თუ მოღვაწეობს თანამედროვე საქართველოში. კანონზომიერად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ უმაღლესი წოდება – „ქართული პროზის რაინდი“ საქართველოში პირველად მიენიჭა სამ პროზაიკოსს და მათ შორის რევაზ მიშველაძეს.

ბატონი რევაზი მრავალმხრივი მოღვაწეა. მას იცნობენ, როგორც პირველხარისხიან ნოველისტს, კრიტიკოსს, დრამატურგს, ლიტერატურის ისტორიკოსს, პუბლიცისტს და ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწეს. თითოეულ დარგში ბატონი რევაზ მიშველაძის მოღვაწეობა ცალკე მოხსენების თემაა.

შემოქმედებითი პროცესი საერთოდ და განსაკუთრებით მწერლობა, ღვთიურ საიდუმლოებათა სფეროს განეკუთვნება. შემოქმედება არ ისწავლება. სიმღერას ვერ ასწავლი, თუ მუსიკალური ნიჭი ბუნებით არ დაჰყვება ადამიანს. ასწავლიან მელიოდის და სიმღერის ტექსტს, მაგრამ სიმღერის ნიჭი თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს.

სპეციალისტები დარწმუნებული არიან, ნიკო ფიროსმანის სამხატვრო სასწავლებელში რომ ესწავლა, შეიძლება გენიოსი მხატვარი გვეყოლებოდა.

პოეტობა და პოეზია არ ისწავლება. გალაკტიონ ტაბიძეს არა თუ უმაღლესი, ნორმალური საშუალო სკოლის სრული კურსიც არ დაუმთავრებია, მაგრამ მეოცე საუკუნეში უფრო დიდი დედამიწაზე მიწაზე არ დადიოდა. შემოქმედებითი ნიჭი

ვნებოდნენ არა მწერლობის მსურველები, არამედ მწერლობაში გამოკვეთილი ნიჭის ახლგაზრდები, რომლებიც ზოგად ლიტერატურულ განათლებას იძენდნენ კურსებზე. მწერალი ან პირველხარისხიან ნაწარმოებში გამოავლენს ნიჭს, ან ვერაფერს. ის რაც პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ იწერება, მხოლოდ ვარჯიშია წერაში და არა ნიჭის გამოშუქება.

რევაზ მიშველაძეს არ ჰქონია პირველი ცდის და ვარჯიშის პერიოდი მწერლობაში. 21 წლის ყმაწვილმა პირველივე ნოველა სათაურის შერჩევიდანვე ხალხის შემოქმედებითი ნიჭის კარნახით დაწერა. ეს გახლავთ ნოველა მეტაფორული სათაურით „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“. ამ მეტაფორაში XX საუკუნის 60-იანი წლების კრიტიკული განწყობილებაა გამხედილი – ხალხს არ სწამს კომუნისმის გამარჯვებისა. კომუნისმის იდეა არის ის ვარსკვლავი, რომელიც არ ანათებს. ამ იდეის ხორც-შესხმისათვის რევაზ მიშველაძემ მაშინ შეარჩია თემა, რომელშიც ტიპური შინაარსით ისახებოდა სოციალიზმ-კომუნისმის მშენებლობის სიყალბე და მონვენებითობა. ეს იყო ყველაზე გაერცხლებული, მაგრამ აშკარად ყალბი კამპანია-მოსწავლეთა სასწავლო-საწარმო პრაქტიკა მსხვილ საწარმოებსა და მეურნეობებში ნოველაში აღწერილია სამკერვალო ფაბრიკაში მოსწავლეთა შერევა სქესის და ნიჭის, ინტერესებისა და მიდრეკილებების მიუხედავად. ეს პრაქტიკა იქნებ გოგონების ინტერესებთან

პოულობს ხალათზე დიღების დაკრებისა და გაუთობის წესების ახსნა-განმარტებაში, მიდის ქუჩაში და გზის კეთილმოწყობის ბრიგადაში მუშაობას არჩევს. გზაზე ფილების დაწობა უფრო საინტერესოა მისთვის, ვიდრე ხალათზე უკუღმა დაკრებული საყვარელ გასწორება. ვამთავრებთ ნოველის კითხვას და ვრწმუნდებით, როგორც სამკერვალო ფაბრიკაში ამ ბიჭების სასწავლო პრაქტიკა ყალბია და მონვენებითი, ასეთივეა საბჭოთა კავშირში განადგობული პროპა-

განდა საყოველთაო სოციალური ბედნიერების-კომუნისმის შესახებ შესახებ. ეს იყო ოცდაერთი წლის მწერლის (შეგანგებულად არ ვამბობთ დამწვევბი მწერლის) ღინდა მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფოს ერთგვარი ლიბერალიზაციის პროცესი დაიწყო და ბევრი ინტელექტუალური ადამიანი დადებითად გამოეხმაურა. ეს იყო XX საუკუნის

კაცი იყო და ავკარგის გარჩევას ხანდახან ხმაშაღალი ფიქრით ცდილობდა. ეს კი არ აპატიებს... გამიგეთ, რისი თქმა მინდა?... იყოს შერმადინი, როგორც იყო აქამდე. რეაბილიტაცია აწი ვვლად-



განდა საყოველთაო სოციალური ბედნიერების-კომუნისმის შესახებ შესახებ.

ეს იყო ოცდაერთი წლის მწერლის (შეგანგებულად არ ვამბობთ დამწვევბი მწერლის)

ღინდა მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფოს ერთგვარი ლიბერალიზაციის პროცესი დაიწყო და ბევრი ინტელექტუალური ადამიანი დადებითად გამოეხმაურა. ეს იყო XX საუკუნის



რაფერს უშველის. მე ნუ მიქცევთ... მამაჩემის ყველაზე კაი რეპლიკაცია ის იქნება, უდანაშაულო კაცს თუ აღარ გამოეყიდა აწი მაინც და მართლის მოქმედს ლაგამს არ ამოსდებო.

თავისი ამ არასაბჭოური მოტივებით რევაზ მიშველაძე ძილს უფრთხობდა ოფიციალურ ხელისუფლებას. ძილის საშუალებას არ აძლევდა მწერალი არც ახალ, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელსაც დიდ მოთხოვნებს უყენებდა ისევე ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის და თავისი პოზიცია ნათლად გამოხატა ნოველაში "კარგად ცხოვრობენ გუბერატორები?"

საქართველოს მწარე ბელზე დაფიქრებული მწერალი გვეხმიანება ნოველიდან "მტერი-თავდაღმა ჰკიდია." ეს მეტაფორაა და შაგრენის ტყავით შემცირებული ახლანდელი საქართველოს ხატავს რევაზ მიშველაძე. მეოცე საუკუნის მიწურულს ჩვენი ტერიტორიების 30% მიიტაცა რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით და დღემდე მხოლოდ დიპლომატიური მხარდაჭერით გვეკვებავენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ დროს საქართველო კი ძვირფასი ცალი ფეხით თავდაღმა დაკიდულ მტრედს ჰგავს, რომლის გადარჩენილი რეალური ძალა არსად ჩანს.

ამასთან დაკავშირებით დროულად მიგვაჩინა განაცხადით, რომ რევაზ მიშველაძის რანგის მწერალს არ შეიძლება პოლიტიკური ოპონენტი ეწოდოს. ჭეშმარიტი მწერალი არა ოპონენტი, არამედ გუშავია, რომელსაც როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, "ძილშია არ სძინავს ქვეყნის უბედურებით გულადტკინებულსა." რევაზ მიშველაძის მთელი შემოქმედება – ბელეტრისტიკა თუ პუბლიცისტიკა – ხალხის გამოფხიზლებას ემსახურება. ამ

მისიას ემსახურება ე.წ. "აფხაზურ თემაზე" შექმნილი მისი ნოველებიც. რაც დრო გადის მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ

ლი მხატვრული გემოვნების მქონე მკითხველმა. საქართველოს სახალხო არტისტი, სახელგანთქმული „ღათა თუთა-აშხიას“ გადამღები რეჟისორი

შეუქმნიან ერთმანეთს პირადი ღირსების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას. ეს იდეა მკითხველმა გულწრფელად მიიღო და ერთ-ერთმა მკითხველმა

ურუბს იმას, რომ გულდასმით ვსწავლობდეთ მას.

ჩემი სათქმელი, ცხადია, ვერ ნაეტყვა 10-15 წუთიან რეგლამენტში, ამიტომ მოვიშველიებ ცნობილი ქართველი პოეტის ზურაბ კუხიანიძის ლექსს, რომლითაც მიმართავდა მწერალ რევაზ მიშველაძეს დაბადებიდან 60 წლისთავის იუბილეზე:

“გემორჩილება ახრიც და სიტყვაც, იწვი, ანათებ, როგორც სანთელი, შენზე, რამდენიც არ უნდა ითქვას, მაინც დარჩება კიდევ სათქმელი. და მე მგონია, ძმობაც ის არის, რაც ჩვენ დუმილის ფასად გვრგებია, ამ მოკლე სიტყვით რაც ვერ გითხარი და ჩვენთვის მაინც გასაგებია”

ბატონო რევაზ, გილოცავთ მკითხველის გულითად სიყვარულს. თქვენ ერთნაირად უყვარხართ როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამის დასტურია თქვენი დაჯილდოება სომხეთის ავეტიკ ისაკიანის უმაღლესი სახელმწიფო პრემიით.

დემურთმა გაგიძლიეროთ, უფალმა მოგცეთ ფიზიკური ძალა და სულიერი ენერგია, მხნეობა და ხალხის ახალი მხატვრული და პუბლიცისტიკური თხზულებებით ქართული კულტურის გამდიდრებისათვის, საქართველოს მამულიშვილთა აღზრდისათვის.

დემურთმა გიმრავლოთ მკითხველი და თავყვანისმცემელი, შინ და გარეთ. თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მწერალი ბრძანდებით. თქვენგან ახალი შემოქმედებითი სიმაღლეების დაპყრობას ველით

თქვენი იური ბიბილეიშვილი



თავის დროზე არ გააკეთდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. ტრაგედიის თავიდან ასაშორებლად ახლა დადგა ჯამი - რაც შეიძლება მეტი პირადი პასუხისმგებლობა იგრძნოს ყველა ქართველმა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად.

ჩვენი იუბილარი ბატონი რევაზ მიშველაძე ჩვენთვის ძვირფასია იმ თვალსაზრისითაც, რომ ჭეშმარიტი შემოქმედისათვის თავდაღმართი არ არსებობს. მხედველობაში გვაქვს 70 წლის რევაზ მიშველაძის დიდგანიანი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, რომელიც პირველი წაკითხვისთანავე აღიარა მაღა-

გივა ლორთქიფანიძე წლის საუკეთესო რომანს უწოდებს „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ და წერს: ამ რომანის მიხედვით შეიძლება რამდენიმე სერია გაკეთდეს, ნოველების მიხედვით”

რომანის გმირი გელა კირთაძე ჩვენი თანამედროვე მწერალია. მისი ცხოვრება და თავგანწირვა სამაგალითოა. გელა კირთაძე თავის მწერლურ და მამულიშვილურ მისიას შესრულებულად ჩათვლის, როცა უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი დატოვებს ოკუპირებულ ქართულ მიწას, აფხაზეთი დაუბრუნდა საქართველოს, სამაჩაბლოს ქართველი და ოსი მოქალაქეები მშვიდობიანი თანაცხოვრებით

ასეთი სტრიქონებით გადაუხადა მადლობა მწერალს:

“რა გითქვამს, რა გიფიქრია, რა წიგნი დაგიწერია, ისტორიული ამბისთვის შხამი არ გაგირეგია, მართალი სიტყვის ოსტატო, ხელთ გეპყრას კარგად მახვილი, გული გაუპო მომხდურს და ცას ასწვდეს შენი სახელი! შენი რომანი ბნელს გააკვეთს, გაიზრდებიან გმირები დაიბღავლებენ – ვით უწინ კლდეზე შემდგარი ირმები!” ბატონებო, რევაზ მიშველაძის შემოქმედება ჩვენგან იმსახ-

დიდად პატივცემულო ბატონო რევაზ

მოგესალმებით უნივერსიტეტის სტუდენტთა და კერძოდ იმათი სახელით, ვინც თქვენთან დაგვაშეგობრა საქართველოში პირველად გამართული სატელეფონო



შესვედრით მწერალთან. მინდა გითხრა, რომ თქვენთან სასაუბროდ მზადების პროცესში გადატანილი განცდები ერთბაშად მოგვიხსნა თქვენმა საოცრად თბილმა საუბრებმა, რჩევებმა, დარიგებებმა

თქვენ კარგად გვაგრძნობინეთ, რომ მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისთვის სტუდენტი საგანგებოდ უნდა ემზადებოდეს. საკმარისი არ არის ნაწარმოების წაკითხვა, მთავარია მისი ისე გაგება, რომ ზუსტად მიგავნოთ მწერლის ჩანაფიქრს.

ამ თვალსაზრისით თქვენი საუბრები თითოეული ჩვენგანისათვის ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი გაკვეთილი იყო. ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ თქვენი სახით ჩვენს ახალგაზრდობას ჰგავს ბრძენი მასწავლებელი და დამრიგებელი. თქვენი პოპულარობა საქართველოში აღიარებული ფაქტია.

პირადად განათლების სპეციალობის სტუდენტებს გადაწვევით გვაქვს უფრო ღრმად და ფართოდ შევისწავლოთ თქვენი შემოქმედება, შესაძლებლობის მიხედვით ვიყოთ თქვენი ყოველი ახალი ნაწარმოების პირველი მკითხველი.

ბატონო რევაზ, ვგრძნობ, რომ სრულად ვერ ვამბობ ყველაფერ იმას, რასაც ვფიქრობ და განვიცდი, ამიტომ ნება მიბოძეთ ჩემი მისალმება დავამთავრო, პოეტ ამირან ხაბაზის ლექსით:

„მე ვიცი, ვინ რაა შენი ხმით განგარჩევ ათასში, შენს ხმაში იმდენი გრგვინვაა იმდენი ზავით და გუმბათთა განგაში.“

სამეფო გვირგვინთან ჭაბუკი დატოვებს ზღაპარში მე მესმის იმ ბიჭის ყიჟინა იმ ხმას ჰგავს ეგ შენი განგაში. არის ხმა ზეიმის, არის ხმა გოდება შენი ხმა ფრინველის განგაში საბუღარს ძერა, რომ უახლოვდება მე ამ ხმას გავარჩევ ას ხმაში. ქართული სიტყვით და ქართული სარკაზმით გამიძეხ, მოგყვები იმ ქართულ ზღაპარში ეს ხმაა მთრთოლვარე სანთელი დარბაზში მე ამ ხმას გავარჩევ ას ხმაში. მე ვიცი დღეღამაში, თავსხმაში ქართველი შენს წიგნს რომ გადაშლის შენს სიტყვას გაარჩევს ათასში და შენს ხმას განარჩევს ას ხმაში. შენს ხმაში იმდენი გრგვინვაა იმდენი ზავით და განგაში“.

ნათია თვალაპიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

ხალხის შვილი ხალხის კალთაში გამოზრდილი



1840 წლის 27 ოქტომბერს ქართლის პატარა, თვალწარმტაცმა სოფელმა ვარიანმა საქართველოს იაკობ გოგებაშვილი აჩუქა. მას შემდეგ 170 წელი გავიდა. დრომ ფერი ვერ უცვალა მის შემოქმედებით საუნჯეს, მის მოძღვრებას, პირიქით, მხესავით კიდევ უფრო მეტ ელვარებას ჰყენს, მარადიული სიცოცხლისა და მიმზიდველობის ძალას ანიჭებს.

ფართო და მრავალმხრივია დიდი ერისკაცის პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობის სარბიელი. ისტორიამ მას დააკისრა დედაენაზე სწავლა-აღზრდის ახალი სისტემისა და უბადლო სახელმძღვანელოების შექმნა; სახალხო სკოლის მშენებლობის, ერის განათლების, ახალი სალიტერატურო ქართულის გაერცვლები და ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ბედის მართვა.

გორი, თბილისი, კიევი - ეს იყო ვარიანელი ჭაბუკის განათლების აღმავალი საფეხურები, ხოლო 1863 წელი სამასწავლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ხანგრძლივი, ძნელად სავალი და უადრესად ნაყოფიერი გზის დასაწყისი.

„ხალხის შვილი, შუა ქართლში დაბადებული და ხალხის კალთაში აღზრდილი“ იაკობი სამოღვაწეო ახპარეზზე ღრმად გააზრებული, ნათელი პროგრამით გამოვიდა. სამშობლოს სამსახური უმადლესი და უწმინდესი იდეალი იყო მისთვის. „გაეუძელ მოურნენელ ავადმყოფობასაც, გაძლიერებულ მტრობასაც, ბიუროკრატის დევნასაც - არაფერი არ დაეუთმე არც ერთს, არც მეორეს. ჩემს საზოგადოებრივ მიზანს აქეთ-იქეთ გადახუცეულად ვემსახურებოდი შეძლებისდაგვარად“.

შეძლებისდაგვარად, თავმდაბლურად ამბობს დიდი პედაგოგი, სინამდვილეში უმადლესი და უწინარესი იდეალისათვის მისი გაორკეცებული ენერგიით ბრძოლა და სამსახური თავგანწირვის, გმირობის ტოლფასი იყო. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1873 წელს იაკობმა ცეცხლს მისცა სემინარიის ატესტაციის, აკადემიის მოწმობა და სხვა საბუთები, რომ სახელმწიფო სამსახურში ადარ შესულიყო. მთელი სიცოცხლე, ძალა და ენერგია ქვეყნის ნათელი მერმისისათვის მოეხმარებინა, „ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო“, იტყოდა ხოლმე.

დიდი პედაგოგი და განმანათლებელი საქართველოს აღორძინების, მისი ბედნიერების ძირითად საყრდენად ხალხის განათლებას, მომავალი თაობის ზნეობრივ სრულქმნას მიიხსენებდა. აღზრდის ძირითად მიზნად კი მას ყოველმხრივ განათლებული, პარმონიულად განვითარებული, „ახალი ტიპის ქართველი“ აღზრდა-ფორმირება მიანდა. იაკობის აზრით „ახალი ტიპის ქართველი“ გონებრივად და ზნეობრივად სრულყოფილი, აქტიური, შემოქმედი და ინიციატივიანია, გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით. მანვე მოგვცა პატრიოტიზმის კლასიკური ფორმულირება. „ვისა ჰქვიან პატრიოტი?“

- სვამს იგი კითხვას და პასუხსაც თავად იძლევა: „მას ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუდალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობები, ვისაც მოღვაწედ დაკარგულად მიანია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედავის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა, ვინც ბედნიერია მისი უბედურობით და ვინც მზად არის ღმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.“

ჩვენ ხელთ უნდა ავიტაცოთ და სამოქმედო პროგრამად დავისხოთ დიდი მამულიშვილის დებულება: „ადამიანის ღირსება განიზომება მხოლოდ გონებრივი სიმადლით, ზნეობრივი სისპეტაკით და იმ სიკეთით, რომელსაც სთესავს იგი თავის მოღვაწეობით“.

როგორ ძალუმად ეხმაურება დღევანდელობას შეგონება იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხს დასვლეთიდან მიეღო განათლება და გადმოეტანა საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილება. თუმცა აუცილებლად მიანდა - „წარსულიდან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებებში ავარით სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიური სფეროებითა“.

სულმანთი მოძღვარი განსაკუთრებულად იღვწოდა იმისათვის, რათა ევროპის მოწინავე სკოლების მსგავსად საფუძველი ჩაეყრდა ქართულ სკოლასაც, სადაც დედაენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლას უპირველესი ადგილი დაეთმო. ამიტომაც იყო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის მასწავლებლად და ზედამხედველად მუშაობდა შეუპოვრად შეებრძოლა აქ გავრცელებულ არაადამიანურ რეჟიმს და აქედანვე ჩამოაყალიბა სწავლა-აღზრდის ახალი სისტემა - ჰუმანიზმისა და დემოკრატიის დამფუძნებელი.

დედაენის შესაძირკველმ, დიდმა იაკობმა ყოველმხრივ დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობა ერის სიცოცხლის, მისი ცივილიზაციისათვის და თავისი უკვდავი ქმნილებებით რეალური შესაძლებლობები შექმნა ამ იდეის ხორცშესახმისათვის.

ერის განმანათლებელმა 24 წლის ასაკში შეადგინა დედაენის ახალი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლე-თათვის“, რომელიც 1865 წელს გამოვიდა. ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმე იყო. წერა-კითხვისა და, საერთოდ ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით დაეფუძნა დიდაქტიკის პრინციპებს, რაც იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრდა.

1868 წელს ენოუზიასტი პედაგოგი სცემს ენციკლოპედიურ სახელმძღვანელოს „ბუნების კარს“, რომელმაც განუსაზღვრელი როლი შეასრულა მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში, ეროვნული თვითშეგნების გამოუმუშავებაში, მშობლიური ენის გავრცელებაში, ერის განათლებასა და კონსოლიდაციაში.

1876 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოცა თავის უკვდავი ქმნილება, ანბანის სახელმძღვანელოების შედგენი „დედა ენა“. ქართულმა გულმა და სულმა, მშობლიური ხალხისა და ბავშვების თავდავიწყებულმა სიყვარულმა, ფართო განათლებამ და პედაგოგიურმა გულმოდგინებამ, ქართული ენის ბუნების საიდუმლოების და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმად ცოდნამ, ზემომადღებულმა საოცარმა მხატვრულმა ნიჭმა და ერუდიციამ მისცა საშუალება პროგრესულ იდეებზე შექმნა ხელისუფლებასა და ხალხის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომელიც დღესაც ნაუქრობელ ჩირადნად ანთია და ნორნების სუდიერი ფორმირების და უშრეტელ წყაროდ მოედინება. გაზაფხულის ღურჯთვალა ით დაიწყო სულმანთმა მოძღვარმა ბავშვთა აღზრდა, რომ ზრდა დამთავრებულებს მხოლოდ ია-

ვარდი ეთესათ ცხოვრების გზაზე. „დედა ენაში“ უდიდესი ოსტატობით, გასაოცარი ცოდნითა და სიბრძნით არის განხორციელებული პედაგოგიურ-მეთოდური და დიდაქტიკური პრინციპები.

„დედა ენა“ არა მარტო წერა-კითხვის სწორეუბრის სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების საუნჯე. სახელოვანი მამულიშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების სათანადო ნიმუშებს თვითონვე აგროვებდა და ხალხსავე უბრუნებდა. იგი ხეწდა, აშლავდა და ამუშავებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ისე შექმნდა თავის „დედა ენას“ და „ბუნების კარს“.

მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის. ამიტომ მან პირველად შეიტანა სახელმძღვანელოებში როგორც სხვისი, ისე საკუთარი პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. „ეს ჯადო წიგნი, წიგნი კი არა ენციკლოპედია, შედგენილია ნაირ-ნაირი მასალით, - წერს მწერალი აკადემიკოსი დ. შენგელია, - ყოველი ფურცელი გამთბარია შემოქმედების ცოცხალი სუთქით და ისე მჭიდროდა შეკრული, რომ მონოლითურ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ. ტოლსტოი და განუყოფელი ქართული ზეპირსიტყვიერება, ისე ლოგიკურად განაგრძობენ ერთიმეორეს, ისე ხმატბილად აღედგებულან, რომ ერთი საკვირველი სიმფონია იქმნება.“

სწორედ ამის გამო შეითვისა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ისინი გასცილდა სკოლის ფარგლებს და საერთო სახალხო საკითხავ წიგნებად, ხელისხელსაგომანებულ მარგალიტებად იქცა. ქართველმა ხალხმა „ყვეხისტყაოსნის“ შემდეგ ამ წიგნების მსგავსი პოპულარული მეთოდური წიგნი არ იცოდა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ერის უჭკნობ საუნჯეს „დედა ენას“ ძველი დაუდგა.

„დედა ენის“ ყოველ ახალ გამოცემას განუსაზღვრელი სიხარული შეჰქონდა არა მარტო საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველი ოჯახში, არამედ საქართველოს გარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეთა შორისაც. სახელოვანი მამულიშვილი ანგარიშს უწევდა ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა თავისებურებებს. როცა „დედა ენას“ ადგენდა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მასში.

ამიტომაც იყო, რომ უძირფასეს განძს „დედა ენას“ ატყვევებთ კითხვობდნენ ფერადანში, სტაბულსა და მცირე აზიაში მცხოვრები ქართველები. მათთვის სპეციალურად იბეჭდებოდა და იგზავნებოდა ძირფასის საუნჯე „დედა ენა“, რომელიც ენის სიყვარულთან ერთად მშობლიური მიწის სურნელებით ასაზრდოვებდა უცხოეთში მყოფ ქართველებს და ეხმარებოდა შეენარჩუნებინათ დედაენა და ქართული ადათ-წესები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გენიოსი პედაგოგის მშობლიური ზრუნვა, შეუნელებელი ყურადღება და სათუთი დამოკიდებულება აჭარისადმი. 1878 წელს, როცა აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მხარდამხარ მშობლიური რულუნებით დაიწყო ბრძოლა აჭარაში სახალხო სკოლების გახსნისა და დედაენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის. ის თთხჯერ, თავად ეწვია ბათუმს, რომ ახლოს გაცნობოდა დიდი ილიას თაოსნობით აქ გახსნილი პირველი ქართული სკოლის საქმიანობას და სათანადო დახმარება აღმოეჩინა მისთვის. სახელოვანი მამულიშვილის თავდადებულ მზრუნველობას, ამავსა და საქმიან წინადადებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ისტორიული კუთხის აყვავება-აღორძინებაში.

პედაგოგიკის კლასიკოსი მადლ შეფასებას აძლევდა და განსაკუთრებულ მნიშველობას ანიჭებდა მასწავლებელს. პედაგოგი მას ერის დედაბოძად მიანდა თუ სკოლის საქმე მადლ დონეზე დადებდა, მომზადებული მასწავლებლები გვეყოლება, წერდა იაკობი, პოტენციურად

ჩვენი მომავალი თაობა ნიჭიერებითა და უნარით გამოირჩევა და თავს გამოიხნის. „ისე რუსს არ უყვარს თავისი სანატრელი ოტკა, ნემესს - პივა, ფრანცუსს - შამფანსკი, იტალიელს - ოპერა, ინგლისელს - ბიგშტექი, ოსმალიელს - ყავა და ჩინელს - ბანგა, როგორც ქართველთ სწეურით სწავლა.“

ამიტომაც მუხლნაუსრულად იღვწოდა იაკობ გოგებაშვილი ქართული სკოლის მშენებლობისათვის. მის სამსახურს მოახმარა მან მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება, ძალა, ენერგია და საოცრად რაინდული შემართება.

მე-19 საუკუნის საქართველო, რომელმაც შეძლო თავისი ეროვნული თავისთავადობის, თავისი ეროვნული ფასეულობების ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში შენარჩუნება - ეს უპირველეს ყოვლისა ქართული სკოლის დამსახურებაა, რამეთუ იგი დედაენის ბაღვარს ეყრდნობოდა.

„აი, რისთვის და ვისთვის იყო საჭირო „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და საბავშვო მწერლობა, რომლის ფუძემდებელიც სულმანთი იაკობი გახლდათ. მან საბავშვო ლიტერატურის ეროვნული სკოლა შექმნა. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილი. მადალი ზნეობით და ფორმით მიაწოდა მკითხველს - მოზარდსა და მოზრდილს.“

თანამედროვე პირობებში როცა სწავლება-სწავლის აქტიური და ინტერაქტიური მეთოდები ინერგება სკოლაში საჭირო და აუცილებელია ყოველივე ეს ტრადიციულს, ეროვნულს დაყრდნოს და მასზე დაყრდნობით შემოქმედებითად იქნას გამოყენებული. ამიტომ სჭირდება დახმარება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

ვის მოუხმობთ ?
იაკობ გოგებაშვილი:
ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას და შევედგეთ შექმნას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისა. სწავლებას, რომ იგი პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს - ყოველ სიტყვაზე თან უნდა ახლდეს სრული გაგება, სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზე დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა. მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა შინაგან მხარეებს.

და ისევე დღევანდელი მრავალრიცხოვანი მასწავლებელთა არმიისადმი მიმართული სიტყვები.

დღევანდელ გაკვეთილზე აღთქმული მასალა უნდა განმეორდეს მომდევნო გაკვეთილებზე სხვადასხვა კომბინაციებში, რაც უზრუნველყოფს არა მარტო შესწავლილის მტკიცედ დამახსოვრებას, არამედ შექმნილი ცოდნის სხვადასხვა პირობებში უნარიანად გამოყენებას. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ფართო გზა მიგვცეს სწრაფეცვლებად სამართლში საქმიანობისათვის ესოდენ აუცილებელ, ახლებურ, კრიტიკულ აზროვნებას, კულტურული მოაქეპრე, მოკამათე ღრმად და დამოუკიდებლად მოფიქრალ-მოაზროვნე და ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნების აღზრდა-ფორმირებისადმი შემოქმედებით მიდგომას.

ერის განმანათლებელმა თავისი პედაგოგიკური იდეებით და შეხედულებებით, ბრძნულ ნაფიქრ-ნააზრებით და შეგონებებით თანამედროვეობაში შემოაბიჯა. ის დღესაც ჩვენთან არის, კვლავ გვიჩვენებს, გვარბევს, გვასწავლის, გვამოდგარვს, განათლებების რეფორმის რეალიზაციისა და ეროვნული სკოლის მშენებლობის ძნელად სავალ გზაზე საგზადად ბევრჯერ გამოგვადგება მისი ძვირფასი, პროგრესული მემკვიდრეობა, რომელიც ქართული ეროვნული კულტურის, ეროვნული სკოლის ურყევი ბურჯი და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საფუძველთა საფუძველია.

აბაბი ზოიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, დოქტორი.



საქართველო მონობაშია აღზრდის საკითხებზე


აღზრდა ყოველთვის იყო ძნელი საქმე და ასეთივედ დარჩა დღემდე. დღეს კი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, იგი უფრო გართულდა და მრავალი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების სახნად იქცა.

კიდევ უფრო ძნელია ბავშვის აღზრდა ენის ამოდგამადე და ფეხის ადგამადე, როცა პატარას არ ძალუძს, ვითარას რა აწუხებს, რატომ ტირის, რატომ ჟინიანობს, რატომ არ ემორჩილება აღმზრდელებს და ა.შ. ამ რთულ და ძნელად დასაძლევ პრობლემას შეეჭიდა პროფესორი არჩილ ბერიძე და, შეიძლება თამამად ითქვას, ბრწინვალედ გაართვა თავი – ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, და არა მარტო ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, პედაგოგიურ მეცნიერებასაც შემატა ერთი საინტერესო ნაშრომი, მონოგრაფია „აღზრდის საძირკველი“, რომელიც გასული წლის მიწურულს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გამომცემლობამ დასტამბა.

აღნიშნული ნაშრომი შეიცავს 413 გვერდს და 33 თავს. ამ სქელტანიან ნაშრომში დაწვრილებით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის გაშუქებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენის ამოდგამადე და ფეხის ადგამადე ასაკის ბავშვში სოციალურად დადებითი თვისებების შემუშავების საკითხი, რომელიც დღემდე პრობლემად იყო ქცეული.

თავის წინასიტყვაობაში ბატონი არჩილ აღნიშნავს, რომ იგი პირველად იკვლევდა სწავლების, დიდაქტიკის საკითხებს და ვერ წარმოედგინა, რომ ოდესმე ხელს მოკიდებდა აღზრდის საკითხებს, მაგრამ გაბედა და წარმატებოვცა გაართვა თავი ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას.

ავტორს საკვლევი პრობლემა გაშუქებული აქვს ისტორიულ ასპექტში – ანტიკური ეპოქიდან (დემოკრიტე, პლატონი, პლატონი, არისტოტელე, კეინტილიანე) დღემდე და კლასიკოსი პედაგოგების გამოცდილებას ეყრდნობით მოცემული აქვს პრობლემის გადაჭრისათვის გარკვეული რეკომენდაციები და დასკვნები. ნაშრომის დადებით მხარედ მიგვანჩია ის, რომ არჩილ ბერიძე აღნიშნულ პრობლემაზე არსებული ლიტერატურისა და მეცნიერ-პედაგოგების მოსაზრებებს ავსებს და ამდიდრებს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან აღებული, თავის შეიღებულ და კვირვებით მიღებულ იქონებულ მკვლევარულ მუშაობით. იგი მაღლიერების გრძნობით



იხსენიებს ყველა იმას, ვინც ხელი შეუწყო მას მეცნიერად ჩამოყალიბებას და გარკვეული ბიძგი, სტიმული მისცა მის ამ ხფეროში მუშაობას. მათგან იგი, უწინარეს ყოვლისა, გამოყოფს აკადემიკოს შალვა ამონაშვილსა და აჭარის განათლების მინისტრს, აწ გარდაცვლილ ბატონ ვახტანგ წულუკიძეს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, დასძენს პროფ. არ. ბერიძე, როცა ფსიქოლოგია გამოეყო ფილოსოფიას და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, მოზარდის აღზრდის საქმე პედაგოგიური ფსიქოლოგიის დიდი საქმედ იქცა. ავტორი სამართლიანად დასძენს, რომ აღზრდის უდიდეს როლზე პიროვნების ფორმირებაში პირველად მიუთითა გამოჩენილმა ინგლისელმა პედაგოგმა ჯონ ლოკმა. იგი წერდა: „...ცხრა მეათედი იმ ადამიანებიდან, რომლებსაც ჩვენ ხვდებით, ...არიან – კეთილი თუ ბოროტი, სასარგებლონი თუ უსარგებლონი, აღზრდის წყალობით“.

შემდეგ ავტორი იშველიებს უან-უაკ რუსოს გამონათქვამებს მისი უკვდავი რომან-ტრაქტიკიდან „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, რომლის შესავალ ნაწილში რუსო ამბობს: „თუ როგორი იქნება მცენარე, მოვლაზეა დამოკიდებული. თუ როგორი იქნება ადამიანი, აღზრდაზეა დამოკიდებული“. რუსო შემდეგ კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და აცხადებს: „ემიორებს, ადამიანის აღზრდა მისი დაბადებისთანავე იწყება“. სარეცენზიო ნაშრომი ავტორი იშველიებს ასევე ცნობილ შვეიცარიელი კლასიკოსი პედაგოგის პენის პესტალოცის გამონათქვამს, რომ „ბავშვის დაბადების საათი არის მისი აღზრდის პირველი საათი“.

ამავე საკითხთან დაკავშირებით იგი გვთავაზობს ერთ მოარულ, ანეკდოტად ქცეულ მაგალითს: ერთხელ ცნობილ იტალიელ პროფესორ მონტე გატოს წვევია ახალგაზრდა დედა და უკითხავს: როდის დავიწყო ბავშვის აღზრდაო. პროფესორი დაინტერესებულა ბავშვის ასაკით და როცა გაუგია, რომ იგი ერთი თვის იყო, უთქვამს: თქვენ შვილის აღზრდა ერთი თვით დაგვიგვიანებიათ.

სასურველი იყო აქ ავტორს აღენიშნა, რომ ამჟამად მედიცინა, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია და პედაგოგია მოითხოვს, რომ ბავშვის აღზრდაზე ვიზრუნოთ ჯერ კიდევ მის დაბადებამდე, თორემ შემდეგ შეიძლება ჩვენმა დაუდევრობამ არასასურველი შედეგი გამოიღოს.

ამავე თავში ავტორი ამბობს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ქართულად არსებობს ერთადერთი ნაშრომი, მეცნიერებაში არცთუ ისე ცნობილი ავტორისა, ესაა მიხეილ მჭედლიშვილის ბროშურა „როდის და როგორ დავიწყო ბავშვის აღზრდა“, რომელიც ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ ამ ნაშრომის ავტორი გადაჭარბებით აფასებს ენის ამოდგამადე ასაკის ბავშვის აღზრდის შესაძლებლობებს.

სარეცენზიო ნაშრომის III თავში პროფესორი არჩილ ბერიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი გაუნათლებელი დედა ერთმანეთისაგან ვერ ანხვავებ ბავშვის მოვლასა და აღზრდას. აქვე იგი გვთავაზობს მათ შორის განსხვავებას და დასძენს, რომ მოვლა არის ბავშვის ფიზიკური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნა, მისი ჩაცმა-დახურვა და გამოკვება, დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ. აღზრდა კი გულისხმობს ბავშვში დადებითი თვისებების შემუშავებასა და ერის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ადამიანობის გაცნობას, მის შრომისათვის მომზადებას, ერთ სიტყვით, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

მომდევნო თავში გაშუქებულია ბავშვის ტირილის მიზეზი. აქ იგი მიმართავს რუსოს, რომლის აზრით, „ბავშვის პირველი ტირილი თხოვნის გამოხატულებაა, უნდა მოეფერებოდნენ, თორემ მალე ბრძანებდა გადაიქცევა იგი“. შემდეგ რუსო გვირჩევს: „თუ შეველა არ შეგიძლიათ – ნუ ადვლდებით და დასაწყინებლად მოფერებას ნუ დაუწყებთ, ბავშვს თქვენი აღზრდა მუცლის ჭრას ვერ მოუზრდის, ის კი დაიმასხვრებს, რა უნდა ქნას, რომ მოეფერონ. და თუ ერთხელ ნახა, რომ მის ნებაზე თავს ეკვებით – თქვენი ბატონი გახდება; საქმე წასულია“ (გვ. 29).

აქვე ა. ბერიძეს სასურველი იყო მოეყვანა „ემილიდან“ კიდევ ერთი ციტატა, სადაც რუსო ამბობს: „იცით, ...რა არის ყველაზე უფრო ნამდვილი საშუალება თქვენი ბავშვის გასაზრდელად? ეს საშუალება არის ბავშვის მიწვევა, რომ მან ყველაფერი მიიღოს.“

ჯერ მონიშნავს ჯოსს, თქვენ რომ გიჭირათ; სულ მალე იგი თქვენს საათს მოისურველს, შემდეგ ჩიტს, პაერში რომ ფრინავს, მერე ვარსკვლავს, ცაში რომ ბრწყინავს; მონიშნავს ყველაფერს, რასაც კი დაინახავს.

ადამიანს იგი უყურებს როგორც თავის მონას; და როცა... იძულებული გახდებით, რამეში უარი უთხრათ, ბავშვი ამ უარს მის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებად ჩათვლის“, დაიწყებს იატაკზე გორვას და ფეხების ბრახუნს. თუმცა ამავე საკითხს პროფესორი არჩილ ბერიძე უბრუნდება XXX თავში და დასძენს: „როცა ენის ამოდგამადე ასაკში ბავშვი ატირდება, მშობლები მაშინვე იმპულსურად, ინსტინქტურად გადავიდნენ მის მომსახურებაზე, და თუ დედამ თავი შეიკავა, დედაბიძგი – ბავშვის ბებია გარბის მისკენ, შემდეგ კი – მამა ან ბაბუა. არიქა, ბავშვი ტირის, დაყოვნება არ შეიძლება, მივხედოთ, ვაჭამოთ, გავართოთ, შევხსნათ, მოვეფეროთ! და ა.შ. მეტი კი არაა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვში ადვილად მოუთმენლობის თუ თავშეუკავებლობის, საკუთარი ქინის გატანისა და სხვისი დამორჩილების, დამონების სულისკვეთება, სხვებისაგან მუდმივი ყურადღებისა და მომსახურების სურვილი“ (გვ. 383-384).

სარეცენზიო ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბავშვების ქინიანობისა და ნებისყოფის აღზრდის პრობლემა. ამ პრობლემის გაშუქებისას ნაშრომის ავტორი ძირითადად ეყრდნობა პროფ. შალვა ჩხარტიშვილის ნაშრომებს, მაგრამ იგი არ ივიწყებს ასევე სხვა ცნობილ მეცნიერებსაც, როგორებიც არიან: სენენოვი, პავლოვი, პეტროვსკი, კოვანი, დ. უზნაძე, შ. ნადირაშვილი, მ. ყოლბაია, ნ. ბარამიძე, გ. ჩავაჩავა და სხვები. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

არ. ბერიძის დასახელებულ ნაშრომში აღძრული ყველა პრობლემის სრულყოფილად განხილვა სარეცენზიო ნაშრომში შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მკითხველთა ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ, ჩვენი აზრით, უფრო აქტუალურ საკითხებზე.

ღრმად ვართ დარწმუნებული, ბატონ არჩილს ეს ნაშრომი რომ 5-6 წლის წინ დაეწერა, იგი ახლა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი იქნებოდა. აღნიშნული მონოგრაფია ამ ხარისხს უჭველად იმსახურებს.

დასასრულად ამ ნაშრომთან დაკავშირებით მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო: პროფესორი ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონის ძმისშვილი, ამ უკანასკნელზე დაწერილ მონოგრაფიაში აღნიშნავს: 1959 წლის 25 იანვარს გალაკტიონის დღიურში ჩაუწერია: სახელგამში აკაკი შანიძეს შევნიღვ: – აი, ლიტერატურის სახელმძღვანელო VIII კლასისათვის. სხვა პოეტების ათათი ლექსისა შიგ და ჩემი კი მხოლოდ ერთი-მეთქი.

– ეგ სრულებით არაფერია, – მოთხრა აკაკიმ. – ერთხელ ერეკლე მეფე გლეხთა ოჯახში იყო, ამ გლეხს 10 ვაჟი მყავდა. ერეკლემ უთხრა მასპინძელს, რა ბედნიერი ხარ, რომ ათი შვილი გყავსო. მასპინძელმა უპასუხა ამოხვრით: – ეჰ, დიდი ბატონო, ნეტავ ერთი შვილი მყავდეს და თქვენისთანაო. მეც უნდა ვთქვა: ნეტავი ერთი წიგნი დამეწერა და ბატონი არჩილის „აღზრდის საძირკველი“-თანა.

დასასრულად მინდა აღვნიშნო, რომ ა. ბერიძის სარეცენზიო ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით და საინტერესოდ იკითხება.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

შენიგნისიტები – ჩვენი სიამაყე – 75

2010წ. 3 ოქტომბერს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა სახეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამავე უნივერსიტეტის 75 წლის იუბილეს.



ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც უკვდავი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, 75 წლისაა. იგი სამარ-

თლიანად ამყობს თავისი აღზრდილებით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერების მრავალ დარგში, ახალგაზრდობის პედაგოგიური და სამეცნიერო წრეების რთულ გზაზე.

აი, უკვე 7 ათეულ წელზე მეტია, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი ტრიუმფით ატარებს წინაპრების მიერ ანთებული ცოდნის ჩირაღდანს. მან ავტონომიურ რესპუბლიკას მოუმზადა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დღეს წარმატებით შრომობენ მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ცხოვრების რომელ სფეროსაც არ უნდა შევეხოთ, ყველგან შევხვდებით ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, აღმოვჩენთ მათი შემოქმედებითი შრომის ნაყოფს. აჭარაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს,

კურსდამთავრებულებს, სტუდენტებს უყვართ თავისი უნივერსიტეტი და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მათ ცხოვრებაში საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცევა ხოლმე.

ასე იყო 3 ოქტომბერს, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტი 75 წლისთავს ზეიმობდა.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი მეცნიერები, ისინი, ვინც დღეს განაგრძობენ უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს და ღირსეული წვლილი შეაქვთ ქართული მეცნიერების განვითარებაში, ემსახურებიან ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერების, სტუდენტთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იუბილეს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ბათუმის ინტელინგენციის წარმომადგენლები, ყოფილი პედაგოგები

და თანამშრომლები, რომელთაც დიდი დეაწლი მიუძღვით უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში. დღეს კი, დიდი იუბილეს აღსანიშნავად, ამჟამინდელი რექტორის, პროფესორ ალექო ბაკურიძის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით, პატივისცემის ნიშნად, მოგვიწვიეს ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის, ჩვენი მეორე ოჯახის იუბილესზე.

დიდი მადლობა, ბატონო ალექო, იმ დიდი გულისხმიერებისთვის, იმ დიდი სულიერი თანაგრძნობისათვის და იმ მეორე დიდი სიცოცხლისათვის, რომელიც პირადად თქვენ მოგვანიჭეთ და იმ სამარადისო სახსოვრისათვის – პატივებულ დაფაზე ამოკვეთილი წარწერისათვის – სადაც თითოეული ჩვენგანის სახელი და გვარია ამოტვიფრული და მის გასწვრივ წერია ჩვენს მიერ განვლილი ცხოვრების გამოხატულები სიტყვები: „სამეცნიერო, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის“ – პროფ. ა. ბაკურიძე. დღეს ეს ბრწინვალედ საჩუქარი ამშვენებს ჩემი ოჯახის ერთ-ერთ ღამაზე, ორიგინალურ კუთხეს.

გლოცავთ – ღმერთი და თქვენი ანგელოზი იყოს თქვენი მფარველი.

ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ – ბატონო რექტორო, ბათუმის უნივერსიტეტის სახელოვან პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და მიუღ კოლეგებს, სადაც გავატარე ჩემი სიცოცხლის საუკეთესო წლები – 50 წელი. გულითადად მოგილოცავთ დიდ იუბილეს და გისურვებთ ახალ წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს, უსასრულო მიღწევებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი მზარდი უნივერსიტეტის, ჩვენი კუთხის, ჩვენი დიდი საქართველოს საკეთილდღეო! არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ბ-ნი ალექო თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით ამართლებს ჩვენი დიდი წინაპრის გრივოდ ბაკურიანისძის ღირსეული შთამომავლის სახელს. დიდი აკაკის სიტყვებს თუ გავისხენებთ – „რაც არ იწვის, არ ანათებს!“ – დაე, სულ იწოდეთ და ანათებდეთ მარადეაჟამს!

პატივისცემით
თინათინ ჩიქოვანი

პირველი მეცნიერი-აბრევირებული ხელოვნების ფორმა ფუტკარაძე 80 წლისაა



შესრულდა 80 წელი ქართული აგროქიმიური მეცნიერების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, შოთა ავთანდილის ფუტკარაძის დაბადებიდან. იგი დაიბადა 1929 წლის 10 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ დღვანში. პირველი დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ლომანაურის სკოლაში. შემდეგ სწავლობდა სოფელ დღვანის 7-წლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ხულოს ვაჟთა პედაგოგიურ სასწავლებელში და მიენიჭა საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1948 წლიდან შოთა ფუტკარაძე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, აგრონომიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

სტუდენტობის პერიოდშივე გამოიქვანდა მისი მიდრეკილება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი, მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით. მისი სადიპლომო ნაშრომი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ შეფასებულ იქნა ფრიადხე და იგი განთავსდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. შესრულებული სადიპლომო ნაშრომისათვის, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს უმაღლესი განათლების მთავრობამ სამმართველომ, ე. ჯ. ელიუტინის ხელმოწერით, 1954 წლის 8 მარტის ბრძანებით შოთა ფუტკარაძე დაჯილდოვდა ქების სიგელით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სწავლული აგრონომის ცხოვრებაში იწყება ახალი ეტაპი. სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის უფროს აგრონომად, შემდეგ სამმართველოს უფროსის მოადგილედ და რაიონის მთავარ აგრონომად, ბათუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად.

1962 წელს დაამთავრა ასპირანტული მომზადება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საქართველო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პროფ. ა.ჯ. მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე «კონცენტრირებული და თერმული გზით მიღებული ფოსფორიანი სასუქების ფორმების შედარებითი ეფექტიანობა ჩაის პლანტაციებში».

1962 წლიდან 1965 წლის ჩათვლით იგი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია. შემდეგ გადადის სამუშაოდ ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის აგროქიმიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე და შეთავსებით კითხულობს ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის საფუძვლების საკითხებზე. 1970 წლიდან 1990 წლის ჩათვლით მუშაობს დოცენტის თანამდებობაზე ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნდა შოთა ფუტკარაძის ორგანიზატორული ნიჭი. მან ხელგანაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში ჩამოაყალიბა ციტრუსების საცდელ-სახეწებელი საწარმოო აგროუბანი 12 ჰექტარზე, სადაც დაყენებულ იქნა კაპიტალური მინდვრის ცდები.

ციტრუსების ქვეშ აზოტიანი, ფოსფორიანი, კალიუმიანი, მაგნიუმის შემცველი სასუქების ახალი ფორმების, დოზების, შეტანის ვადების შედარებით ეფექტიანობაზე, ამ ცდებმა ფართო ინტერესი გამოიწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებს შორის. ცდებისგან მიღებული შედეგები დადებითად შეაფასეს ცნობილმა აგროქიმიკოსებმა, პროფესორებმა ა. პეტერბურგსკიმ, ა. მენაღარიშვილმა, მ. დარასელიამ, ო. ონიანმა, მ. ბზიავამ, ე. ცანავამ და სხვ. ამ ცდების შედეგებზე დაცული იქნა სამი საკანდიდატო დისერტაცია.

შ. ფუტკარაძეს 1969 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1970 წელს საკავშირო უმაღლესმა სასტატეციო კომისიამ მიანიჭა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება.

ჩაისა და ციტრუსების კვების აქტუალურ საკითხებზე მის მიერ გამოქვეყნებულ იქნა 50 შრომაზე მეტი.

იგი არა ერთხელ გამოხედა მოხსენებებით და ახალი ინიციატივებით აგროქიმიური მიმართულების თათბირებზე, კონფერენციებზე.

1977 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

შოთა ფუტკარაძემ, საბჭოთა კავშირის კოოპერაციის შესახებ კანონის საფუძველზე პირველად, საქართველოში 1990 წელს დაარსა აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტი, რომლის უცვლელი რექტორია. ამ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით დაფუძნებულ იქნა აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრა, რომლის გამგეობის ფუნქციებიც მან აიღო თავის თავზე.

მისი რჩევა-დარიგებებით და მათთვის გაწეული რეკომენდაციებით ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობისათვის, ბევრმა ახალგაზრდამ აჭარისა და გურიის ასპირანტული მომზადება, დაიცვა დისერტაცია და წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო-პედაგოგიურ სარბიულზე.

აღსანიშნავია მისი ქველმოქმედებითი მოღვაწეობა. ინსტიტუტთან არსებული გამომცემლობა მეცნიერების მიერ დასტამბულ იქნა 30 წიგნი, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. მის მიერ დაფინანსდა სტამბულის კათოლიკური ეკლესიის არქივის შესწავლა, ქალაქის სხვადასხვა სკოლებში ჩატარებულ იქნა სარემონტო სამუშაოები, პროფესორ-მასწავლებლებზე სხვადასხვა დროს გაკეთდა იქნა პრემიები, საჩუქრები და სხვ.

მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა შეფასდა მთავრობის მიერ, დაჯილდოვებულ იქნა მედლებითა და ორდენებით.

შოთა ავთანდილის ფუტკარაძემ ცხოვრების გზა შრომაში და ძიებაში განწვდი. იგი ახლაც შემართებით იბრძვის საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, სტუდენტ-ახალგაზრდობისათვის სწავლის ნორმალური, თანამედროვე პირობების შექმნისათვის.

კულტურათმცოდნეობის სახელოვნო ობიექტის, კულტურების განმრთვლობას, დღევანდელ მდგომარეობას, ჩვეული დაუშრეტელი ენერჯის შემდგომ გამოყენებას აქროქიმიური მეცნიერების განვითარებისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ცხოვრების ბედნიერ წლებს.

ბ. ა. ბობიაშვილი

ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი.



„კითხვის ბამაზრცელებელი საზოგადოება“ ბათუმში

თბილისის, თელავისა და ქუთაისის შემდეგ „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ბათუმს ესტუმრა. 24 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პრეზენტაცია ათწიგნის, რომელიც გამოიცა „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოსა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნთა კრებული XIX-XX საუკუნის ათ ცნობილ საზოგადო მოღვაწის შემოქმედებას ასახავს, ესენია: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნოე რამიშვილი, სტატეიბი კმიგრაძიაში გამოცემული გაზეთებიდან და კათალიკოს-პატრიარქები 1917-1927 წლებში. როგორც „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პრეზიდენტი განაცხადა, მათი მთავარი მიზანი ქართულ კულტურაში დემოკრატიული ღირებულებების წარმოჩენაა. ისინი იმედოვნებენ, რომ მხ-

ოლოდ ცერენტრალიზებული არ იქნება ეს საზოგადოება და პროექტში რეგიონები აქტიურად ჩაერთვებიან.

თითოეულ წიგნს, თანამედროვე პოეტებისა და ცნობილი პიროვნებების შესავალი აქვს დართული. პრეზენტაციას სამი მათგანი ესწრებოდა: რატი ამალლობელი, ლაშა ბუღაძე და დათო ტურაშვილი. სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს შორის საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება წიგნიერების დაბალი დონისა და წიგნების გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით. წარმოიშვა იდეა საჯარო კითხვის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების დონის ამაღლებას.

„წიგნის კითხვის საზოგადოება“ სამომავლოდ გეგმავს მათი ორგანიზაციის პრეზენტაციას სკოლებში, აგრეთვე ფილოსოფიური და სოციალური თემატიკის ათწიგნების გამოშვებას. თითოეული წიგნის ფასი 75 თეთრია, ხოლო კრებულის შექმნა წიგნის მაღაზიებში 7 ლარად შეიძლება.

გულოცავთი



როგორ და რით იზომება დრო? ზუსტი პასუხი ამაზე არ არსებობს. თუ დრო მხოლოდ წლების რაოდენობაა, მაშინ ხმამაღლა და დიდი სიყვარულით გაუწყებთ, რომ ნუგზარ ფუტკარაძე 50 წლის შესრულდა; და თუ დრო ღვაწლით, ნამუშავედ, განცდილია და დამსახურებით იზომება, მაშინ გადაუჭარბებლად გემწყობთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ნუგზარ ფუტკარაძემ ღირსეული კაცის ცხოვრებით იცხოვრა, გულიანად იღვაწა, უშუშრველად გასცა მრავალი სიკეთე, არაერთ წარმატებას მიაღწია, მაღლი მოიმეო, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ისღა დაგვრჩენია, კითხველს იუბილარის ბიოგრაფიული შტრიხები გავაცნოთ: დაიბადა 1960 წელს შუახევის რაიონის სოფელ პაპოშვილებში. დაამთავრა მოსკოვის საკავშირო პოლიტიკური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი; წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა შუახევის რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციას. 1999 წელს მიენიჭა აშშ-ს ადოკატთა ასოციაციის სამართლებრივი პრაქტიკის მენეჯერის კვალიფიკაცია. 1990-93 წლებში სწავლობდა მოსკოვში სახელმწიფო მართვის აკადემიის ასპირანტურაში. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1994-2004 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის კათედრას. 2002-2004 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უხედავის საბჭოს წევრი. პარალელურად – ბათუმის უნივერსიტეტში დოცენტი. დღეს იგი რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ფრაქცია „რესტიტუციონალიზაციის“ თავმჯდომარეა.

ეს მშრალი მონაცემებია, ბიოგრაფიული „წვირილმანები“. ვინც ბატონ ნუგზარს იცნობს და მეთანხმდება, რომ ამ „წვირილმანებს“ უკან დგას აქტიური, მებრძოლი ბუნების კაცი, რომელსაც შეუძლია არ შეეპუოს უსამართლობას, დაბრკოლებას, წინააღმდეგობას და ერთგულად ემსახუ-

როს ქვეყანას, საზოგადოებას, იყოს უღალატო მოღვაწე და მეგობარი.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა: „საარჩევნო სისტემები და სამოქალაქო საზოგადოება“, „სახალხო წარმომადგენლობა როგორც ხელისუფლების განხორციელების ფორმა“, „კონსტიტუციური-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა იურიდიულ მეცნიერებაში“... ეს არის სათაურები მისი სამეცნიერო ნაშრომების უმცირესი ნაწილისა და მათ მხოლოდ იმიტომ ვახსენებთ, მკითხველს წარმოადგინა რომ შეეუქმნათ ნუგზარ ფუტკარაძის, როგორც მკვლევარის ინტერესებსა და ფართო ღიაპაზონზე. მას კარგად იცნობენ სამეცნიერო წრეებში, დღესაც აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

სამეგობრო კაცია ნუგზარ ფუტკარაძე. სიყვარულის ნიჭით და სხვისი გაზარების უნარით დაყურსული. მეგობრებს, ახლობლებს, თანამშრომლებს, ხშირად უცხოს და უცნობსაც კარგად ახსოვთ მისგან მომადლებული გულის სიტოპ, ტკივილის თუ სიხარულის გაზიარება, რის სიანცხლოდაც არასოდეს მოუთხოვია სამაგიერო. თუმცა ეს არაა გასაკვირი, გვართ და სისხლით მოსდგამს ასე – მამამისი, აწგარდაცვლილი რეზო ფუტკარაძე ხეიმ აჭარაში გამორჩეული კაცი, ჭირსა და ლხინში თანამედროვე იყო. ხშირად ამბობს ნუგზარი, მამის ჩრდილიდან ვერა და ვერ გამოვედი და ეს ჩემთვის უზომო ბედნიერებაა.

მუდგომთან – ნარვიზ დავითაძესთან ერთად, სამ შვილს – მზიას, ლიას და გიორგის ზრდის ნუგზარი. შეუდარებელი ოჯახის უფროსი და ნათესავეებისთვის ერთგვარი საზომია. ავად გამოჩნეულად პატიოსანი და წესით ოჯახში დაბადებული, სხვისგანაც მხოლოდ ამ თვისებებს მოითხოვს და ამჩნევს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნუგზარს რეგალიებისათვის არასოდეს უბრძოლია, მაგრამ ავტორიტეტი სულ ქონდა და აქვს. ანგარიშს უწყვეტ, აფასებენ და ეწოდებიან. ასეა იმის გამოც, რომ ნუგზარი ყოველთვის უშუალო, დაუდალავი, შრომისმოყვარე, ყურადღებიანი და სამართლიანია. მისთვის მძიმე პერიოდშიც კი ცდილობდა და ცდილობს სხვისი საყრდენი და ბურჯი იყოს.

ბევრი დაუმახასურებელი ტკივილიც მიუღია, მაგრამ გული და კეთილგანწყობა არ შესცვლია, არ გაბოროტებულა. დაბოლოს, შინაარსის კაცია ნუგზარი, მოსმენა უყვარს. მისი მაღალკვალიფიციურობა, ღვიისგან ნაბოძები ნიჭიერება, ღრმა ერუდიცია გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ის მუდამ იქნება სტუდენტებისათვის საყვარელი ლექტორი და ახალგაზრდების ქომაგი და გულშემატკივარი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ნუგზარ ფუტკარაძეს 50 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს, როგორც მეცნიერებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი



ბამოჩენილი ქართველი მხედართუფროსები

ქართველი ხალხის ბრძოლამ და მოუკიდებლობისა და საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის, აგვისტოს (2008 წ.) ომმა არაერთი გაკეთილი მოგვცა, რომ საჭიროა ჩამოყალიბების პროცესში მეოფი ქართული ჯარის, ეროვნული შენარჩუნებისა და ფორმირების შექმნა, მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება, საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1941-1945 წლების ომში დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილებისა და საერთოდ სამხედრო ხელოვნებისადმი ახლებური მიდგომა, წინაპართა და უფროსი თაობების გამოცდილების შესწავლა და გამოყენება.

ახეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი სამხედრო მოღვაწეების, ჯარისკაცებისა და ოფიცრების, განსაკუთრებით ცნობილი მხედართუფროსების საბრძოლო ცხოვრების გზის შესწავლასა და წარმოჩენას, რასაც სერიოზული როლი ეკისრება თანამედროვე ქართული ჯარის სრულყოფაში, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში, სამშობლოს დამახილზე მის დასაცავად ქვეყნის მოქალაქეთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის მზადყოფნის სულისკვეთების უზრუნველყოფაში.

ამ თვალსაზრისით მეტად კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც საარქივო დოკუმენტების, სხვადასხვა წყაროების საფუძველზე ქმნიან ნაშრომებს ქართველი სამხედრო მოღვაწეების საქმიანობის, სხვადასხვა ქვეყანაში და მეორე მსოფლიო ომში თანამემამულეთა მონაწილეობისა და თავდადებული ბრძოლების შესახებ.

ამ მხრივ მრავალთა შორის აღსანიშნავია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, დირსების ორდენის კავალერის ელვერ კუპატაძის ორი ნაშრომი: 1) 270 გვერდიანი „გმირი გენერალი“, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას დაბადებიდან 100 წლისთავს და მასში მკაფიოდ ასახულია მისი ცხოვრება და სამხედრო მოღვაწეობა და 2) 67 გვერდიანი „ქართველი მხედართუფროსების მონაწილეობა ლენინგრადისათვის ბრძოლაში“.

ორივე ნაშრომის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაყვალა აბოთაძე. რეცენზენტები პირველისა: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორი შოთა ვადაჭკორია და ლერი ნანიკაშვილი, ავრთუვე გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გურამ გვეტაძე; მეორისა: ისტორიის

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორი ვასათიანი და ღნინიაშვილი. ნაშრომები დაფუძნებულია საარქივო დოკუმენტებზე, პრესისა და მეშუარულ მასალაზე. თვით ვ.ჯანჯღავას, ლენინგრადისათვის მებრძოლი მხედართუფროსებისა და მათ თანამებრძოლი მოგონებებზე.

პირველი ნაშრომი „გმირი გენერალი“ შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან, გაანხი რეზიუმე რუსულ ენაზე. ბოლოში დართულია გენერლის სამხედრო მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრაციები და თავების მიხედვით დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

ავტორი დღევანდელი გადასახედიან ობიექტური მსჯელობითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით წარმოაჩენს გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჯანჯღავას საინტერესო ცხოვრებასა და საინიშნო სამხედრო მოღვაწეობას, დაწვეული რიგითი ჯარისკაცობიდან, დამთავრებული გენერალ-ლეიტენანტის წოდებით (30 წლის ასაკში გახდა პოლკის, 36 წლისას - დივიზიის მეთაური, 37 წლისას მიენიჭა გენერალ-მაიორის, 41 წლისას - გენერალ-ლეიტენანტის წოდება, 38 წლისას გახდა საბჭოთა კავშირის გმირი).

შესავალში აღნიშნულია, რომ, მართალია, ვლადიმერ ჯანჯღავას შესახებ ლაპარაკია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მერვე ტომში, ცალკეულ ავტორთა შრომებში, წერილებში და სტატიებში, მაგრამ ერთიანი, სპეციალური მონოგრაფიული შესწავლა-გამოკვლევა არ მომხდარა. სწორედ ამ ხარვეზის შევსება სცადა და, ვფიქრობთ, წარმატებითაც გადაწყვიტა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ელვერ კუპატაძემ, რომელიც მუშაობს და იკვლევს უმთავრესად სამხედრო საჯარისო შენარჩუნებისა და ომის პრობლემებს.

ნაშრომის არქიტექტონიკა, საკითხების დალაგება თავებდა და პარაგრაფებდა, რომელიც სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს გენერლის ცხოვრებისა და გმირული მოღვაწეობის შესახებ, მკაფიოდ გამოხატავს ავტორის მაღალ აკადემიურობას, მეცნიერული აზროვნების ლოგიკურ თანმიმდევრობას, ხოლო საკითხების გაშუქების ვ.ჯანჯღავას ცხოვრება-მოღვაწეობის დეტალების აღწერა და მათგან მნიშვნელოვანის წინა პლანზე წამოწევა გენერლის პიროვნების ხასიათის გამოსავლენად პირობითებს ავტორის მაღალ ერულიცაზურითაც ვლინდება სამხედრო საკითხების დრმა ცოდნა და ადამიანის ფსიქოლოგიაში ნაწვდომის უნარი.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ვ.ჯანჯღავას ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები (გვ.8-21), მეორე თავში

- ვ.ჯანჯღავას სამხედრო სამსახურის დასაწყისი (გვ.22-39); კურსანტობის წლები (§1), ვ.ჯანჯღავა პირველ ქართულ მსროლურ დივიზიაში (§2).

ვ.ჯანჯღავას სამხედრო ტალანტი გამოვლინდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით არაერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია და საბრძოლო მოქმედება განხორციელდა, რაც ასახულია ნაშრომის მესამე თავში (გვ.40-176), ამ თავში ქვესაკითხებად გამოქვეყნებულია ვ.ჯანჯღავას მონაწილეობა დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში მე-16 სატანკო დივიზიის შემადგენლობაში (§2), ... მსროლელი პოლკის მეთაურის თანამდებობაზე (§3), ... დივიზიის მეთაურის მოადგილე სამწებრო დარგში (§4), ... 354-ე მსროლელი დივიზიის სათავეში (§5), ... 354-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა 1945 წლის საბრძოლო ოპერაციებში (§6).

ავტორი მკაფიოდ წარმოაჩენს ვ.ჯანჯღავას ხელმძღვანელობით დივიზიის მებრძოლთა გმირობასა და სიმამაცეს სტალინგრადიდან გერმანიამდე მათ მიერ წარმატებით ჩატარებულ ბრძოლაში, რისთვისაც დივიზიის მეთაურმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება, მრავალი ორდენი, მედალი, სტალინის 15 მადალი. აჯამებს რა ვ.ჯანჯღავას სამხედრო მოღვაწეობას, ავტორი ხაზს უსვამს, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე სახელმძღვანელო გენერალი იყო იმ ქართველ (და არა მარტო ქართველ) მხედართუფროსებს შორის, რომლებიც უნარიანად სარდლობდნენ მოტომსროლელ დივიზიებს (გვ.221). ნაშრომის მე-4 თავში დახასიათებულია გმირი გენერლის მოღვაწეობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (1946-1982 წ.წ.).

ომის დამთავრების შემდეგ გენერალ-მაიორის წოდებით ვ.ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა მსროლელ კორპუსს აკაკეასიის სამხედრო ოლქში, შემოქმედებითად იყენებდა სამამულო ომის დროს მდიდარ გამოცდილებას.

1948 წელს მოსკოვში დაამთავრა გენერალის სამხედრო აკადემია, 1953 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ამის შემდეგ სამოქალაქო სამსახურშია. დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად, 1962 წლიდან გარდაცვალებამდე (1982 წ.) იყო საქართველოს „დონსაფის“ თავმჯდომარე.

ავტორი აღნიშნავს მის დამსახურებას ამ ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებაში. ბატონი ელვერი გმირ-გენერლის პიროვნული თვისებებიდან გამოყოფს განსაკუთრებულს: მკაფიო მიზანდასახულობა („მეც რომ მეთაური გახდებოდე!“ - პატარა ვლადიმერის დაუოკებელი ოცნება იყო), მტკიცე დის-

ციპლინა, ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული, სრულყოფილი სწავლისკენ სწრაფვა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიტანა, გამბედაობა (არასდროს უკან არ დახეულა მეთაურის ბრძანების გარეშე), უფროსების მოსმენა და პატივისცემა, ქვეშევრდომებისადმი ყურადღება და ზრუნვა, ობიექტურობა, ღირსების დაცვა, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, პირადი მაგალითი. გენერლის ეს თვისებები, ავტორის აზრით, რასაც ჩვენც ვვინაობთ, კარგი ორიენტირია ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტური აღზრდის საქმეში.

ეკუპატაძის მეორე ნაშრომში, საარქივო დოკუმენტებზე, პრესის მასალებზე, სამეცნიერო, სამხედრო-მეშუარული და პუბლიცისტური ჟანრის ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესწავლილია ლენინგრადისათვის წარმოებულ სამხედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მონაწილე სხვადასხვა სახეობისა და გვარების (სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო, არტილერიის, საერთო-საჯარისო, პოლიტიკური შენარჩუნების, საინჟინერო-ტექნიკური, სამედიცინო სამსახურის) ჯარებში მყოფ მხედართუფროსთა (ს.რამიშვილის, ვ.ლექავას, გ.აბაშვილის, ლ.გოლიაძის, გ.ჯინჭარაძის, ბ.ვლადიმეროვის, ხ.ხარაზიას, ვ.ხუბულაძის, გ.მკვანაძის, დ.შანშაშვილის, ნ.დალაქიშვილის, ი.ჯინჭარაძის) საბრძოლო დამსახურება.

ავტორი სარეცენზიო ნაშრომებით, სამეცნიერო-კვლევითი („ქართული ეროვნული საჯარისო შენარჩუნების ისტორია“, სადოქტორო დისერტაცია, 1994) და საზოგადოებრივი (საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე) მოღვაწეობით აკეთებს კეთილშობილურ საქმეს. ერთის მხრივ, სწავლობს, იკვლევს, აღწერს ვინააპრთა და უფროსი თაობების საქმიანობა-გამოცდილებას და გადასცემს მომავალ თაობებს, მეორე მხრივ, როგორც ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომები იკითხება ინტერესით. გვჯერა კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს, სტუდენტებს, ასპირანტებს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენი აზრით, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ელვერ კუპატაძის წარმოდგენილი ნაშრომები მეცნიერულად სრულყოფილია და ამდიდრებს ქართული ისტორიოგრაფიას.

სერბო ღუმბაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

სასიკეთო წამოწყება

ჩემი ვეფხისტყაოსანი

— უკვდავმა ვაჟა ფშაველამ უკვდავი შედარება აღმოაჩინა შოთა რუსთაველის დედაწლის შეფასების დროს და თქვა: **„ვეფხისტყაოსანი საქართველოა, საქართველო ვეფხისტყაოსანია“**. ამ შედარებაში იკითხება „ვეფხისტყაოსანიდმი“ ქართველი ხალხის ტრადიციად ქცეული დამოკიდებულება.

ქართველი კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობს „ვეფხისტყაოსანს“. მისი პრინციპებით („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“) ცხოვრობს, მისი აფორიზმებით („სჯობს სიცოცხლე ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“) აზროვნებს, მისი პერსონაჟების (ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი, თინათინი, ფრიდონი, იასმათი, შერმადინი) ნათლავს შეილებს. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის უძვირფასესი განძია. ამ განისხადმი დამოკიდებულების ხარისხით იზომება საქართველოში კათოჯახის შვილობის ხარისხიც. შემთხვევით არ შექმნილა ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშიც, რომლიც ბრწყინვალედ არის გამოხატული ვეფხისტყაოსნისადმი ქართველის დამოკიდებულების მრავალასპექტიანი მნიშვნელობა:

„ქალი მყავდა გასათხოვი, თავმორთული, კოსანი. გავათხოვე, გავტანე ჩემი „ვეფხისტყაოსანი“. წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ თურმე იყვნენ ვიროსანნი.

ისევ უკან წამოვიღე ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

მეც „ვეფხისტყაოსანით“ ვცხოვრობ. ოცზე მეტი წლის მანძილზე ვასწავლიდი ქართულ ენასა და დღეტეარტურას ჯერ ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში (1962 - 1967) შემდეგ ბათუმის №6 საშუალო სკოლაში და ცხადია ვასწავლიდი „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ვასწავლიდი არა სასკოლო ქრესტომათის მიხედვით — (ნაწევრებში, შემოკლებული ვარიანტით), არამედ ვასწავლიდი პოემის სრულ ტექსტს.

ორივე სკოლის იმ კლასებში, რომელშიც ვასწავლიდი, რამდენიმე მოსწავლეს ზეპირად შევასწავლე „ვეფხისტყაოსანი“ სრული ტექსტით. (დასაწყისში, ვეფხისტყაოსნის ზეპირად შესწავლის სურვილი ბევრსა აქვს, მაგრამ ბოლომდე ერთეულები სწავლობენ).

შოთა რუსთაველის პედაგოგიურ შეხედულებებს ვასწავლი უნივერსიტეტის სტუდენტებს. ეს მუშაობა იწყება პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლომდე წაკითხვით. ვერც ერთი ჩემი სტუდენტი პედაგოგიკის ისტორიის გამოცდაზე ვერ გამოვა და ბუნებრივია, უნივერსიტეტს ვერ დაამთავრებს, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცოდნის გარეშე.

2010 წლის გაზაფხულზე ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავის საიუბილეო მზადების დღეებში განათლების ფაკულტეტის დაწყებითი განათლების

სპეციალობის პირველ კურსზე დაიბადება იდეა — რადგან ბათუმის უნივერსიტეტი საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც გენიოსი პოეტის შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, მისმა სტუდენტებმა ზეპირად ვისწავლოთ პოემა „ვეფხისტყაოსანი“. კურსის 47 სტუდენტი უკლებლივ ყველა ბოლომდე წაიკითხავს პოემის სრულ ტექსტს, ხოლო მათ შორის ოცამდე სტუდენტმა გამოხატა პოემის სრული ტექსტის ბოლომდე ზეპირად შესწავლის მზადყოფნა. ამასთან დაკავშირებით ჩავატარეთ მოსამზადებელი მუშაობა. პირველ რიგში, გავარკვიეთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კითხვის ტექნიკური „საიდუმლოება“: მოგვეჩვენებოთ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია შაირით — (მაგალი და დაბალი შაირის) მაღალი შაირის ტერფები შეიცავს 4 + 4 მარცვალს, დაბალი შაირისა — 5 + 3 მარცვალს. ეს განსხვავება იწყებს კითხვის ტექსტს შორის განსხვავებას. მაღალი შაირის ტაქტები იკითხება შედარებით სწრაფად, დაბალი შაირისა — დინჯად. ამ ნორმების დაცვით „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი ტექსტის კითხვა ხდება სახალისო და მიმზიდველი. მობეზრება და დადლილობა გამორიცხებულია.

მეორე, ვეფხისტყაოსნის ზეპირად დამსწავლელმა მკაცრად უნდა დაიცავს მთავარი პრინციპი: ერთ დღეში მხოლოდ ერთი სტროფის დასწავლა ზეპირად. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს სტროფის დასწავლის სიმტკიცეს, რაც აუცილებელია ვეფხისტყაოსნის ნაირი ვრცელი ნაწარმოების ბოლომდე შესწავლისათვის.

მესამე, ყოველ დღე ერთი სტროფის ზეპირად დასწავლა იქცევა ყოველდღიურ ჩვევად და მოთხოვნილებად, რაც იმის

გარანტიც ხდება, რომ ზეპირად დამსწავლელი აუცილებლად მიიყვანს ბოლომდე განზრახულს. ასე და ამიტომ, დაწყებითი განათლების I კურსის ოცამდე სტუდენტი მაგლარეზხაძე- 898 78 47 49, ქეთევან ლენვაში-858 72 85 44, ნინო გედენიძე-898 60 66 36, სოფიკო ლლონტი-898 58 46 61, დარიკო ვაშაქმაძე-898 79 65 52, ნინო კონცელიძე-857 21 14 93, თინათინ დიასამიძე- 898 77 30 04, ელისო აღობევაშვილი- 898 64 56 75, ნინო გაბაიძე- 898 82 23 70, ნათია თვალაბეიშვილი-898 77 64 10, მელანო ბოლქვაძე-855 38 73 89, ელზა გაბაიძე- 898 79 77 72, ნინო პატარაია, თეონა ფარსენაძე- 892 11 22 40, ნინო მუმლაძე-898 46 20 27, შპია ბოლქვაძე, ნინო კაციტაძე- 898 12 01 48, მზია იამამყვანია-898 51 66 56, ხატია კონცელიძე-874 33 99 63 და სხვებმა 2010 წლის 1 ივლისიდან დაიწყეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ზეპირად შესწავლა. ყოველი თვის ბოლოს ეწყობა ზეპირად დასწავლის სტროფების მოსმენა. ორი წლის შემდეგ ამ სტუდენტებს ზეპირად ეცოდინებათ „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი.

დარწმუნებული ვარ, „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ზეპირად დასწავლის წამოწყება მომავალში ტრადიციად იქცევა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მთავარია, ეს არ შეფასდეს როგორც ერთი პროფესორის ინიციატივად, ეს უნდა იქცეს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლის სტუდენტურ მოძრაობად - **ჩემი ვეფხისტყაოსანი**, რომელსაც უნივერსიტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი, უნივერსიტეტის რექტორატი თავის წილს შემატებს თავის ყურადღებითა და მხარდაჭერით.

სრ. პროფ. იური ბიბიქიძე

გამოქვეყნდა ფსიქოლოგ არჩილ ბერიძის მონოგრაფიული გამოკვლევა "აღზრდის საბირჟელო" (რედაქტორი სრ. პროფ ნოდარ ბარამიძე).

ნაშრომი შესრულებულია სამი მეცნიერების - ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ფიზიოლოგიის - მონაპოვართა საფუძველზე.

"აღზრდის საბირჟელო" იმ ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ავტორები წიგნს წერენ არა საკუთარი ნაკითხობისა და ცოდნის სახეობებზე, არამედ ავტორის ნაფიქრ-ნაზრების მკითხველამდე მისაღწევად. არჩილ ბერიძე მკითხველს სთავაზობს ბავშვის ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგებს. ავტორი იკვლევს ურთულეს პერიოდს - ფეხის ადგამამდე და ენის ამოღამამდე ასაკის ბავშვის აღზრდის პრობლემებს. ეს ჭეშმარიტად ურთულესი პერიოდია. ამ ასაკის აღსაზრდელს სიტყვით ვერაფერია რჩევა-დარიგებას ვერ მისცემ და ვერც მისგან მოისმენ სიტყვით გამოხატულ დამოკიდებულებებსა და განწყობას. აღზრდელმა, ამ შემთხვევაში ძირითადად დედამ, ხანგრძლივი დაკვირვებითა და დედური ინტუიციით უნდა ამოიცნოს ჩვილის ტირილის, როგორც სიგანლის, მიზეზი.

ფეხის ადგამამდე და ენის ამოღამამდე ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა ქართულ ენაზე ადრე არ არსებობდა. არჩილ ბერიძემ პირველად სცადა ამ საშუალო შესრულება და როგორც ყოველთვის, დადებითი მხარეებიც თვალნათლივ ეტყობა და ნაკლოვანი მომენტებიც. ამასთან დაკავშირებით მკითხველს წინასწარ აფრთხილებს წიგნის რედაქტორი პროფ. ნოდარ ბარამიძის წერს: "ავტორის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება იმდენად ორიგინალურია, რომ მკითხველს შეიძლება ის საეჭვოდაც კი მოეჩვენოს, რადგან არ შეესაბამება აღზრდის აქამდინდელ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციულ შეხედულებებს, მაგრამ ეს ეჭვი მაშინვე მოიხსნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ წარმოდგენილი დასკვნები და მოსაზრებები ავტორის ხანგრძლივი, უაღრესად ინტენსიური კვლევა-ძიების საფუძველზეა მიღებული."

აღზრდის შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში იშვიათად შეხვედებით ისეთ ნაშრომს, რომელშიც ისე კონკრეტულად და უშუალოდ იყოს დასმული ბავშვის აღზრდის დაწვევის ასაკის განსაზღვრის პრობლემა, როგორც "აღზრდის საბირჟელოში" წარმოდგენილი. ამიტომ, საკვებით ბუნებრივია, რომ მკითხველს აღუძრავს ფიქრის დასმული პრობლემის უფრო სრულყოფილად გასაზრებისათვის. კერძოდ, ავტორი წერს, რომ ახალშობილის აღზრდა დაბადების პირველი დღიდანვე იწყება. ამ დებულებას ჩვენ ვეუბნებით, მაგრამ თუ ახალშობილი თანდაყოლილი მანკით დაიბადა, აღზრდა უძღური აღმოჩნდება მისგან ნორმალური პიროვნების ჩამოყალიბებაში. მიტომ ფიქრობთ, რომ ნაშრომი მოიგება, თუ ავტორი დასვამდა საკითხს შემკვიდრული დაავადებებისაგან ჩანასახის დაცვის შესახებაც. ასევე პრინციპულად მიგვაჩნია ჩანასახის პროცესში მომავალი მშობლები არ იყვნენ ნარკოტიკისა და ალკოჰოლის გავლენის ქვეშ, ხოლო ჩანასახის მუცლად ყოფნის პერიოდში მოწესრიგებული იყოს დედის ყოფითი გარემო - კარგი კვება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და დადებითი ემოციების საშეაროში ცხოვრება. ახალშობილის აღზრდა კი დაბადების პირველივე დღიდან წარმართოს ფსიქოლოგიურად, ფიზიოლოგიურად და პედაგოგიურად დასაბუთებული, გამართლებული დღის რეჟიმის განუხრელი დაცვა. დღის რეჟიმი პიროვნების ჩამოყალიბების ნაცადი, უწყვეტური მეთოდია.

ავტორი ლოგიკურად და თანმიმდევრობით ანეითარებს მსჯელობას ფეხის ადგამამდე და ენის ამოღამამდე პერიოდში ბავშვის მოთხოვნილებებისა და სურვილების აღმოცენების ქვეცნობიერი მიმდინარეობების შესახებ და წერს: "არაცნობიერ ეტაპზე აღმოცენებული ფსიქიკური უნარები სუბიექტში გაუცნობიერებლად განაგრძობენ არსებობას და მოქმედებას. ქედან ცხადია, რომ ისეთი ფსიქიკური უნარი, როგორცაა, თავშეკავება - მოთმინება და მისი საპირისპირო ფსიქიკური ფუნქციონირება - თავშეუკავლობა - უნიანობა და ჯიუტობა ჯერ კიდევ ენის ამოღამამდე პერიოდში ქვეცნობიერად შეიძინებიან და ასევე ქვეცნობიერადვე განაგრძობენ არსებობას და მოქმედებას. ამიტომაც ისინი, როგორც შენიღბულად აღმოცენებული და ქვეცნობიერად მოქმედნი, თანდაყოლილის შთაბეჭდილებას ტოვებენ."

ორიგინალურად გვეჩვენება ფსიქო-

საქართველო ნაშრომი

ლოგიაში სტიმულის არჩილ ბერიძისეული განმარტებაც: "სტიმული ეს არის ზემოქმედება, რომელსაც გარკვეული მოთხოვნილების მქონე სუბიექტის მიერ შემთხვევით განხორციელებული იმ ქცევას განმტკიცება შეუძლია, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს."

მთავარი საკითხები მინც ის არის, თუ: 1. რა თვისებების შემუშავება შეიძლება ბავშვში მისი დაბადების დღიდან ენის ამოღამამდე და ფეხის ადგამის პერიოდში? 2. როგორ პირობებშია შესაძლებელი ბავშვში უარყოფითი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების დათრგუნვა ან დადებითი უნარ-თვისებების შემუშავება-განვითარება? ნაშრომის ძირითადი ნაწილი ამ პრობლემის გასაზრებას და გადაწყვეტას ეძღვნება და ბარემ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი თავდაპირველად იქცევა, როცა საგანგებოდ ერთდება მსჯელობის ფართოდ გაშლას და საშუალო დონის მკითხველს არ აფრთხობს ვერცხლი და ერთმანეთის გამომრიცხველი კონცეფციების შეპირისპირება-გაანალიზებით. თითოეული პარაგრაფი დაწერილია დასმულ კითხვაზე მაქსიმალურად ცხადი და გასაგები ჩამოყალიბებული პასუხებით.

მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი პასუხი მკითხველისათვის ადვილად მისაღები არ არის. სხვათაშორის, ეს პრობლემა დიდ რუს მეცნიერს ივანე მიხეილისე სეჩენოვსაც (1829-1905) აწუხებდა, როცა წერდა: "როგორც ხშირად განმეორებადი ასოციაციური რეფლექსების დაუფლებისას ადამიანი მოძრაობის კოორდინაციას სწავლობს, ასევე იძენს იგი მათი შეკავების უნარსაც." მაგრამ როგორ ვუთხრათ უფრო გასაგებად ეს ფართო წრის მკითხველს? როგორ დავაკავალიანოთ ახალგაზრდა დედა? მსგავსი კითხვები კიდევ უფრო მწვავედ იხენს თავს, როცა ავტორი ვეირნდება: 1. "ყველაფერი, რაც საჭიროა ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, განვახორციელოდ მანამდე, ვიდრე ბავშვი ატრდება." ამ რეალისტურ რეკომენდაციას შემდეგ ასეთი გავრცელება მოჰყვება: "თუ ბავშვიც ტირილი დაგვასწავს, მასზე მიხედვა და მომსახურება გადავლოთ მანამდე, ვიდრე იგი ტირილს შეწყვეტს."

მაგრამ აქ არ მთავრდება ავტორის მთავარი რეკომენდაცია ხსენებულ: "ტირის შეწყვეტის შემდეგ ბავშვს მაშინვე და მანამდე ნუ მოეშვას ბავშვით, ვიდრე ბავშვი სრულიად არ დამშვიდდება. სამაგიეროდ იგრძნობს, რომ ტირილი და უნიანობა ტყუილად გარჯა და არავითარი სასიამოვნოს მომტანი და მომცემი არაა. ბავშვი დარწმუნდება, რომ ტირილი და უნიანობა უაზრობაა."

ამ რეკომენდაციებში ბუნდოვანებას იწვევს "იგრძნობს" და "დარწმუნდება", რადგან ისინი დაკავშირებულია ცნობიერებასთან. დადგენილია, რომ ცნობიერების ელემენტები ჩვილს ნამდვილად გააჩნია, მაგრამ ნუთუ ცნობიერების ელემენტები საკმარისია იმისათვის, რომ თავის გადაწყვეტილებაში დარწმუნდეს ჩვილი? ამ ნაწილში ავტორს მართებდა მეტი დეტალიზაცია. ბავშვი ტირის არა მხოლოდ მოშეებისა და მოწყურებისა, არამედ ტკივილის, შეციების და უფრო ხშირად კი გადახურების გამო. ხედმეტად თბილი სახევეები სულისშემბუთვლად იქცევა ჩვილისათვის და ამის გამო ტირის. როგორც კი დედა მოხსნის სახევეებს და ბავშვი დამშვიდდება, უმეტეს შემთხვევაში დედა იკვლავ იმავე სახევეებში მოაქცევს მას და შემდეგ უკვირთ, რატომ ტირიან შეილები. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელთა პედაგოგიზაცია ყველამ უნდა გაიაროს, რომ შეიგნონ ბავშვის ინტერესების სწორად მართვა და წარმართვა. იმპულსური მიდგომები ცუდი მრეველია პედაგოგიურ პროცესში.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის მეცნიერული კეთილხინდობებით ეკიდება მეცნიერებაში ავტორიტეტების მოსაზრებებს მაშინაც, როცა მათ არ ეთანხმება. მაგალითად, ავტორი წერს: "ყველა თეორია ამოღობა რა ბავშვის თავშეუკავებლობის ბუნებრივად, გამომდინარე აღზრდის პროცესში ბავშვის მოქმედებათა, დეტალვითა და დათრგუნვის წინააღმდეგ... მაგრამ ამ იდეას თითქმის ყველა განიხილავდა ბავშვის მიერ ენის ამოღამის შემდგომი პერიოდის მიმართულებას... დასაჩანაძი, რომ ვერც რუსომ და ვერც შემდგომი პერიოდის მოღვაწეებმა ვინც თავისუფალი აღზრდის თეორიას ანეითარებდნენ, ვერ შეაშინეს ენის ამოღამამდე პერიოდში ბავშვის მიერ უნიანობის გამოვლინებასა და ენის ამოღამის შემდეგ მის თავშეუკავებლობის გამოვლინებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი." მაგრამ ამას ვერ

ვითყვით მეცნიერული პედაგოგიკის მამამთავარი იან ამოს კომენსკისთან დამოკიდებულების შესახებ. ავტორი სუსტად იცნობს იან ამოს კომენსკის მოძღვრებას, იმდენად სუსტად, რომ პარაგრაფს "აღზრდის მეცნიერულ სათავეებთან" იწყებს ჯონ ლოკისა (1632-1704) და ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) შეხედულებებით, მაშინ როცა აღზრდის მეცნიერულ სათავეებთან დგას სწორედ იან ამოს კომენსკი (1592-1670) თავის "აღზრდით მოშიანურების თეორიით." "დიდი დიდაქტიკის" ავტორი თავის მომდევნო შემკვიდრებამდე დიდი ხნით ადრე წერდა: "ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო დედაბერივი სულდგამული, თუ იგი მოშიანურებულია ჭეშმარიტი აღზრდით. და თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომელსაც დედამიწა წარმოშობს (VI, 6). შემთხვევითი არ არის, რომ პედაგოგიკაში იან ამოს კომენსკის ფუძემდებლური ნაშრომი "დიდი დიდაქტიკა" ბატონი არჩილ ბერიძე არ ასახელებს გამოყენებული (ციტირებული) ლიტერატურის სიაში.

ბარემ აქვე დავამთავრებთ კომენსკის თემას. ნაშრომში "იან ამოს კომენსკი - მშვიდობის მოძღვარი" - ცალკე თავად არ უნდა გამოყოფილიყო, რადგან იგი მხოლოდ კრიტიკული შეფასებით მთავრდება. არჩილ ბერიძე წერს: "კომენსკის მონღოებისა და თავისუფლების მიუხედავად - კაცობრიობისათვის ეჩვენებინა ადამიანთა მანკიერი თვისებებისაგან თავის დაღწევის საიმედო გზები, იგი ვერ მივიდა ადამიანებს შორის დაპირისპირებისა და ერთმანეთის მიმართ შეუღლისა და სიძულვილის, ერთმანეთს შორის კონფლიქტის აღმძვრელი საწყისი ფაქტორის ძიებამდე." ძიებამდე ნამდვილად მივიდა, რადგან დაწერა ვრცელი ნაშრომი "საყოფლოთო რჩევა ადამიანთა საქმეების გამოსწორების შესახებ, რომელიც შექმნილია შვიდი წიგნისაგან შედგება: 1. პანარგურსია - საყოფლოთო გამოვლინება; 2. პანაუგია - საყოფლოთო გამსხივონება; 3. პანსოფია - საყოფლოთო სიბრძნე; 4. პანგლოტია - საყოფლოთო ენა; 5. პანპეგია - საყოფლოთო აღზრდა; 6. პანარტოზია - საყოფლოთო გამოსწორება; 7. პანანტუსია - საყოფლოთო განსარჩება. "აღზრდის საბირჟელოს" მეორე თავის შინაარსი ავტორის ავალბება კომენსკის "საყოფლოთო რჩევა ადამიანთა საქმეების გამოსწორების შესახებ გულდასმით შესწავლას და შეფასებას.

გვაქვს კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა. ავტორი ხშირად წერს: "ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება"... ნაშრომის 165-ე გვერდზეც ამას ვკითხულობთ: "ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შემდეგ გამოვლინდა, რომ სწორედ დაბადებიდან ენის ამოღამამდე და ფეხის ადგამამდე ასაკობრივ

პერიოდში ხდება უნიანობა-ჯიუტობა ისეთი მყარი თვისებების შემუშავება, რომელიც ახალფეხადგმულ ბავშვს საშუალებას არ ძლევს უმტკივნეულოდ, იოლად დათრგუნოს, შეაკავოს მშობლების მიერ დაწინაურებული ლტოლვები და მისწრაფებები."

ეს ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნაა, მაგრამ ნაშრომში ამის მეტი არაფერია ნათქვამი. მეცნიერულ ნაშრომში, მეტადრე ფსიქოლოგიურ გამოკვლევას, დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ჩატარებული ექსპერიმენტის, ცდის აღწერის და მისი შედეგების კლასიფიკაციის სურათი. ამით მოიგებდა ნაშრომი. თუმცა იგი იმდენ დიდსებას შეიცავს, რომ ამ ნაშრომის კარგად შესწავლის გარეშე შეუძლებელია საუნუვერსიტეტო სასწავლო დისციპლინების "სკოლამდელი პედაგოგიკის", "სასკოლო პიკინის", "აღზრდელობითი მუშაობის მეთოდის" სრულყოფილად წაკითხვა. ამ თვალსაზრისით პედაგოგს კარგ სამსახურს უწევს ნაშრომის XIX თავი "სნეობრივ-ეთიკური ფოფაკეცვის პრობლემა", XXII თავი - ელსოვლის ყველაზე მთავარი აღზრდაში", XXVIII თავი "ბავშვის მოვლის მხოლოდ ერთი დარიგება", XXIX თავი - "აღზრდა და ტემპერამენტი". XXX თავი - "ჩვენც თავშეუკავებელი ვართ". XXX თავი - "აღზრდის ტრადიციები და მათი გარდაქმნის სიძნელეები" და სხვა.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მკითხველებთან ავტორის შესხვედრის დროს ბევრი საკულისხმო მოსაზრება გამოთქმა ნაშრომის მიმართ. საკმარისია თუნდაც უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ალიოშა ბაკურიძის შენიშვნა - უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლას აუცილებლობის შესახებ. ამ და სხვა შენიშვნების გათვალისწინებით კარგ სამსახურს გაუწევს პროფ. არჩილ ბერიძე მკითხველს და მეცნიერებს "აღზრდის საბირჟელოს" შევსებით, ადგილების გადაშეშავებათა და რეკომენდაციების დახვეწით.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ რელიგიური აღზრდისადმი ავტორის დამოკიდებულების შესახებ. როგორც წესი, მეცნიერული მონოგრაფიების ავტორები ნაკლებად, ან სრულად არ უმოძებენ ადგილს თაიანთ შრომებში რელიგიური აღზრდის ტრადიციებს. ამ ცალმხრივობას არ იმეორებს ბატონი არჩილ ბერიძე და ნაშრომის შესავალ ნაწილშივე მიუთითებს, რომ "პირველი, რომელმაც თავის უმთავრეს და უზენაეს მიზნად ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთ სიყვარულის უზრუნველყოფა და ბოროტი საქმისაგან ადამიანის გათავისუფლება დაისახა, იყო და არის რელიგიური მოძღვრება". ამ მომენტზე ყურადღების გამახვილებით ავტორი აფართოებს მკითხველის თვალსაწიერს აღზრდის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობებზე.

იზრი ბიბლიოფიზილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დადგენილება №116
2010 წლის 15 ოქტომბერი ქ. ბათუმი

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
2009-2010 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამოანაკლისის დაშვების შესახებ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის მე-12 პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის მე-4 საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2009-2010 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამოანაკლისის დაშვების შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #92 დადგენილებაში შეტანილი იქნეს ცვლილება, დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. აკადემიური დავალიანების მქონე 2009-2010 სასწავლო წლის რსუ-ს კურსდამთავრებულ სტუდენტებს, რომლებმაც რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაბრუნეს ან მონაბრუნეს რსუ-ს, მიეციეს შესაძლებლობა აკადემიური დავალიანების დაფარვის მიზნით, 2010-2011 სასწავლო წელს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ვადებში (სემესტრულად, ადმინისტრაციული რეესტრაციის განმავლობაში) განახორციელონ აკადემიური და ადმინისტრაციული რეესტრაცია“.

2. ეს დადგენილება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს რსუ-ს ადმინისტრაციული შენობის და ფაკულტეტების დეკანატების საინფორმაციო დაფებზე, ასევე გამოქვეყნდეს რსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;

3. დადგენილება ძალაში ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
ალიოშა ბაკურიძე



სანათა — ქიზანი და მოსაზრებები

მასალები დოკუმენტური ფილმის სცენარისთვის

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბათუმის უნივერსიტეტი №9/10, 11, 2010 წ.)

VIII. ჩანართი ჩვენებურთა-ვის: ქართული ენა თურქეთის საქართველოში

XVI საუკუნიდან მოყოლებული განსაკუთრებით გაძლიერდა ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოოდ მთელი ამ რეგიონის ინკორპორაციით დასრულდა. ოსმალეთი რეგიონში მყარად დამკვიდრებას იხსნავდა მიზნად, ამიტომაც მიზანმიმართულად ცდილობდა, არსებული ეთნოკულტურული სისტემის

საუკუნე ეყო, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ეს ბრძოლა სამასი წლის განმავლობაში გაგრძელდა. ქრისტიანობისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ის, რომ სარწმუნოებრივი საკითხები საადგილმამულო ურთიერთობებს დაუკავშირდა. ამასთან, მართლმადიდებლობა ოსმალეთს აგონებდა, ან ბიზანტიას, ან სამხრეთისკენ დაძვრულ და მადამოძალბეულ რუსეთს.

კიდევ უფრო მყარი აღმოჩნდა ნაციონალური იდენტობის ისეთი ნიშანი, როგორც ენაა. მართალია,

ობის დიდი ნაწილის აყრა-გადასახლება, ადგილობრივთა თურქებად გამოცხადებას, სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა გაუცხოებას. ეს უაღრესად მტკივნეული და ამავე დროს ერთობ ვრცელი თემაა, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ტენდენციის მიმანიშნებელი ორიოდ მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლები: ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს ხალხის მესიერებაში დაღეჭილ ტრაგიკულ ისტორიას XIX საუკუნის 20-30-იანი წლების შესახებ: რუსების შემოსვლის შემდეგ როცა მესხეთის ფარულმა ქრისტიანებმა ჩათვალეს, რომ მათ რწმუნას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მთავარსარდალთან ხალხი გაგზავნეს და აუწყეს თავიანთი ამბავი. ცხადია, მფარველობის იმედიც ჰქონდათ: ღიად ვადიარებთ ქრისტიანობას და ესენი დაგვიფარავენ შესაძლო საფრთხისგანო. მესხეთის გადმოცემით, ბებუთოვმა თურმე ასე უპასუხა ხალხის თხოვნას: „გასწოთ, დაიკარგებით აქედამ, თქვე თათრებო, რომ აქ თქვენი ერთი კაციც არ დარჩეს, გასწოთ, გასწოთ, წადით, წადით, მოშორდით აქაურობას! თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, თქვენ თათრები ხართ, წადით იქით, საითაც თქვენი ძმები მიდიან, ჩქარათ, ჩქარათ, თორემ ამ ამბავს თქვენი თათრები შეგვიტყობენ, ჩვენ არაფერს დახმარებას არ მოგცემთ, ისინი კი თქვენ სულ დაგხოცავენ. წადით გირჩევნიათ, რუსები თქვენ არ მივიღებენ, რადგანაც თქვენ არ ხართ კაი ხალხი, რუსების მტერი ხართ.“

ეს XIX საუკუნის I ნახევრის ისტორიაა. მდგომარეობა არც საუკუნის შემდეგ შეცვლილა. იმავე განაწილებით შედიოდა რუსი ხალხითი სამუსლიმანო საქართველოს მიწაზე XX საუკუნის დასაწყისშიც. ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, თურგორც ეპკროზოდნენ რუსი ჯარისკაცები ტაო-კლარჯეთის ტაძრებს I მსოფლიო ომის დროს. დღევანდელი მეცნიერი იმომეებს პორუჩუკ შუგუროვს და მოგვითხრობს: „იმხანში მხატვრობა მოშლილი დაგვხვდა და ეტყობოდა, ზოგიერთი ფრესკის მოშლა ახალი საქმე იყო. მე ვკითხე სოფლის მუხტარს, რატომ შლით სურათებს-მეთქი? მან მიპასუხა: ჩვენ მაგის გვეშინია და ხელი არასდროს გვიხლი: ესენი სულ რუსის ხალხთებმა ხიშტების წვერით მოშალესო. მართლაც, თვით ხახულის ყოფილი კომუნდანი შუგუროვი გვიმოწმებს რუსის ხალხთების და პრაპორშნიკების ბარბაროზობას, რომელთაც მიაწერს ხახულის დევისშიშობის ქანდაკების გაფუჭებას და დასძენს: „განა ესენი არ იყვნენ, იშხნის ტაძარში მიხანში სროლა რომ ატეხესო? ზოგიერთი ხალხთის ფსიქოლოგიის მიხედვით, - ამბობს შუგუროვი, - ყველა ეკლესია საათარეთში, ქართულია ის თუ სომხური, „თათრული ეკლესია“ და არავითარი პატივისცემის ღირსი არ არისო.“

მხოლოდ საქრისტიანო საქართველოს ეროვნული ინტელიგენცია, ადგილობრივ პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად, ცდილობდა დაღეჭილი ზეგავლენა მოეხდინა მოვლენათა განვითარებაზე, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნე, მათი შესაძლებლობები შეზღუდული იყო. ამდენად, თუ თვალს გადავაყრდნობთ XIX-XX საუკუნეების მიჯნის მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ც.წ. სამუსლიმანო საქართველოს), შემდეგი სურათი წარმოგვიდგება:

I. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი გახიზნულია - მუჰაჯირადაა წასული.
II. თითქმის მთელი მოსახლეობა ისლამს აღიარებს.
III. ქრისტიანული სოფლები შემორჩენილია მესხეთში. აქაურ ქრისტიანთა დიდი უმრავლესობა კათოლიკეა. აღ. ფრონელის თანახმად, XX საუკუნის დასაწყისის სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 6408 სულს შეადგენდა. „ამ მცირედსაც, - ჩოლა ფრონელი, - ბატონი სარუხანა გვედავებოდა, კეგენი მუდამ ვგარტომობით სომხები ყოფილან და დღესაც სომხები არიანო.“ სამუსლიმანო საქართველოში ქართველთა გასომხების პროცესი ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია. ამჯერად შევნიშნავთ მხოლოდ, რომ XIX საუკუნეში ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო. სომხმა მოღვაწეებმა სწორედ ამ პერიოდში გაანადგურეს მეტად აქტიური ანტი-ქართული პროპაგანდა, დაიწყეს მტკიცება თითქოს არ არსებობს ქართველი კათოლიკე და ყველა ისინი სომხები ან სომხის ჩამომავლები არიან. მათს „მოღვაწეობას“ რუსეთის ადმინისტრაციაც უწყობდა ხელს (მაგალითად, 1835 წლის ქართველი კათოლიკები სომხებად გამოცხადდა. ამ ზღაპრებს დასაბუთებულად უარყოფდნენ ქართველი მოღვაწენი (მ. თამარაშვილი, ა. ხახანაშვილი და სხვ.), მაგრამ ცარიზმის პოლიტიკით ფრთაშესხმული მუხტარეების ალაგმვა დაიხაცა რომ ჭირდა.

IV. მესხეთის ქართველი მართლმადიდებლები გამოდიან ფარული ქრისტიანობიდან. ალექსანდრე ფრონელი აღნიშნავს, რომ 1900 წლისთვის ახალციხის მაზრაში 1284 მართლმადიდებელი კომლი (დაახლოებით 10 000 სული) ცხოვრობდა 15 სოფელში.
განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ტაოს დასავლეთ ნაწილში, პარხლისწყლის აუზში არმენევეში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქრისტიანები, არა მხოლოდ ფარული ქრისტიანობის დონეზე. გიორგი ყაზბეგის ცნობით, XIX საუკუნის 70-იან წლებში აქ ჯერ კიდევ არის რამდენიმე მართლ-

ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობის დამყარებას, მოსახლეობის გამაჰმადიანებას მაინც მოჰყვა ქართული ენის ჯერ შესუსტება, შემდგომში კი, სამუსლიმანო საქართველოს არაერთ რეგიონში, საერთოდ დაკარგვა. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით ისლამის მიღებიდან თუ მესამე თაობა მშობლიური ენის სიწმინდეს ინახავდა, მეთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის წიაღში უხვად უშვებდა უცხო ენის ნაკადს. მეხეთე თაობა უკვე ფიქრობდა და აზროვნებდა ძალით თავს მოხევეულ ენაზე და მშობლიურ ენას მხოლოდ შინაურებაშიღა ხმარობდა. ასე თაობათა სიღრმეში, უცხო რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური გარემოს გაყენით, დაიწყება ეძლეოდა მესხეთის ქართველთა შორის ქართული ენა. რასაკვირველია, ყველა რეგიონს ერთ საზომს ვერ მოვარგებთ, მაგრამ ტენდენცია, ვფიქრობ, სწორადაა დანახული.
XIX საუკუნეში ქართული ენა მდღევანდელ აჭარაში კლარჯეთისა და შავშეთის დიდ ნაწილში, აგრეთვე ტაოში - ალაგ-ალაგ, კერძოდ პარხლისა და თორთომის მიდამოებში. ფოცხოვსა და კოლა-არტაანში მხოლოდ ნახსია შემორჩენილი.

ამჯერად არ ვეხები ლახეთს. აქ იმას ვიტყვი, რომ XIX საუკუნის ლახისტანში უმეტესად კარგად იცინა მშობლიური ენა. იგი ძირითადი საურთიერთო ენაა.

XIX საუკუნის სამუსლიმანო საქართველოში ენა ყველაზე სრულყოფილად მაინც აჭარისწყლის ხეობაში, მაჭახელსა და ქობულეთში ახსოვთ. ქართული ძირითადი საურთიერთო ენაა. XIX საუკუნის ბოლოს თურქულის მცოდნე გურჯიცი არ არის ბევრი. მეტიც, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს, „აქ საქმე ისეა დაყენებული, რომ ერთი ყავახანის პატრონი, რომელიც ოსმალეთი თათარია, ქართველ მაჰმადიანებს ქართულად ელაპარაკება. ასევე სხვა სხვაგვარ ადგილებში აქ მყოფი სხვა ქვეყნის ოსმალთები და ბერძენები მთელ დღეს ქართულს საუბარს არიან იძულებული.“ (ჭიჭ. 2.2)



ქვემო ფორთის ეკლესიის ჩამონგრეული გუმბათი

ძირფესვიანად მოსობას და ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობის დამკვიდრებას.
პირობითად შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების ინკორპორაციის პირველი ეტაპი... 1578 წლამდე, ანუ ლალა მუსტაფა ფაშას „აღმოსავლეთის ლაშქრობამდე“ ოსმალთებს დაპყრობილი ჰქონდათ არტაანი, აჭარა, შავშეთ-მაჭახელი, ნიგალი, ტაონი (ამიერ და იმიერ ტაო).
როგორც ზ. შაშიკაძე მიუთითებს, ოსმალური წყაროების მიხედვით, დაახლოებით 1535-1566 წლებს შორის პერიოდში არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში მოექცა შემდეგი ქართული სანჯაყები (სადროშოები): ისფირი (სპერი), ფასინი (ბასიანი), მაშირვანი, ფურთუქრეკი, აქჩაკალე, ოლთუ (ოლთისი), თორთომი, ტაოსკარი, ქემხისი, ფანასკერტი, არტანუჯი, ლივანა, არტაანი, შავშეთი, ბათუმი, აჭარა, მაჭახელი და ფოთი.

1579 წელს კი სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, რომელშიც ახლადდაპყრობილი სამცხის და ჯავახეთის მიწები შევიდა, მოგვიანებით კი, XVIII საუკუნის დასაწყისში, მორიგი ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, აქ თითქმის ყველა ქართული პროვინცია იქნა გაერთიანებული.

ოსმალეთი შეუდგა ამ ძლიერი ტრადიციების ქართულ მხარეში თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღებას. ეს იყო მეტად მიძიმე და რთული პროცესი. არც ოსმალეთისთვის იყო იოლი მესხეთის მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოშლა, მისი საბოლოოდ დამორჩილება და გარდაქმნა. მესხები დიდხანს იბრძოდნენ, თავს არ უხრდნენ დამპყრობელს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ და მშობლიურ მიწას რომ შერჩენოდნენ, გამაჰმადიანდნენ. თუ მესხეთის პოლიტიკური დამორჩილებისათვის ოსმალეთს ერთი

გადაქართველების, გათურქების პროცესი სხვადასხვა რეგიონში თუ ხეობაში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა, მაგრამ, ვახუშტის ცნობით, XVIII საუკუნეში შორეულ სავრშიც კი ისმოდა ქართული ენა.

როგორც უკვე ვთქვი, XIX საუკუნის განმავლობაში სამუსლიმანო საქართველოს უდიდესი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. რუსეთის თემას ქვემოთ ისევ მივუბრუნდები, აქ კი ვიტყვი, რომ უფრო გვიან, როცა შეიქმნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველო მცირედენი ხნით მაინც აღსდგა ისტორიულ საზღვრებში. ვიკტორ ნოზაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „1920 წლის დასასრულისათვის ქართული ტერიტორია გა ერ თიანდა და გაართულდა: შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავის ქართული მიწა-წყლით, რომელიც უამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოსწყ და მას. აღსდგა საქართველო!“

სამწუხაროდ, ძველი დიდების დაბრუნებისკენ მისწრაფება მალევე დასამარდა: 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა წერტილი დაუსვა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამავე წლის იანვრის ხელშეკრულებით დაუნანებლად გაასხვისა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ართვინისა და არაგვის ოლქები. სამუსლიმანო საქართველოს დიდი ნაწილი ისევ თურქეთის შემადგენლობაში მოექცა.

რაც შეეხება ისტორიული სამხრეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდს, როგორც უკვე ვთქვი, მართალია, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი მუსლიმან ქართველებს თანამომქმეობთან ურთიერთობის შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ რუსეთს თავისი იმპერიული ზრახვები ამოპრავებდა და ამ ხალხის ბედი არ აწყუბებდა. ამიტომაც შეუწყობილი მუჰაჯირობას - მოსახლე-



ზემო ფორთელი ილიას ოქური

მადიდებელი ოჯახი. აქვე ცხოვრობს მღვდელი, გვარად ღებაძე, რომელიც ზოგჯერ ართვინშიც ჩაღის ხოლმე (20 საათის სავალ გზაზე) ძველი სახარების წასაკითხად. XX საუკუნის დასაწყისში კი, როცა აქ ქვეთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის წევრები ჩავიდნენ, მხოლოდ ფარული ქრისტიანები ცხოვრობდნენ.

რაც შეეხება მშობლიური ენის მდგომარეობას, როგორც ვთქვი, რომ პროვინული იდენტობის ყველაზე მყარი ელემენტი სწორედ ენა აღმოჩნდა, მაგრამ

ქალებმა, როგორც წესი, ქართული ენის გარდა სხვა ენა არ იციან. ქართული სიმღერები, წინაპართა ტრადიციები და წესჩვეულებები კარგადაა დაცული, მოკლედ, რომ არა რწმუნის სხვაობა, აქაურობას საქრისტიანო საქართველოსგან ვერ გარჩევ. მეტიც, ზოგჯერ აქაურები რუსეთის საქართველოსთან შედარებით, სამუსლიმანო საქართველოს ეროვნულ ღირსებას უფრო მაღლა აყენებენ... სულელომან ბეჟანიძეს უთქვამს ერთხელ ზაქარია ჭიჭინაძისათვის: „თქვენ ამის ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ ქართულ

ენას თქვენზე უკეთ შევინახავთ. თქვენ ერთი ის ბრძანებით, რუსულს თქვენში უფრო მეტნი ლაპარაკობენ, თუ ჩვენში თათრულსო. ჩვენი ბებებისა და მოლების უმეტესმა ნაწილმა თათრული არც ენა იციან და არც წერა-კითხვაო, თქვენში კი ყველანი უცხო ენაზე ლაპარაკობენო, ნამეტურ კერ ნახავთ, რომ ის თათრულად ლაპარაკობდესო.”

ქართული კლარჯეთშიც იციან, მეტადრე, ლივანაში. ლივანა მურღულის ხეობასთან ერთად სამუსლიმანო საქართველოს ერთ-ერთი იმ ნაწილთაგანია, სადაც ქართული ენა და ეროვნული ცნობიერება ყველაზე მეტად არის შემონახული. მართალია, ქართული წერა-კითხვა აღარ ახსოვთ, მაგრამ ენა კარგად დაუცავთ. ზაქარია ჭიჭინაძე ლივანაში 38, მურღულაში 31 სოფელს ჩამოთვლის და შენიშნავს, რომ მხოლოდ ართვინის მახლობელ რამდენიმე სოფლის ქართველ მაჰმადიანებს დაიწყო ქართული ქართული. ქალბატონ ოსმალიურ საერთოდ არ იციან. ლოცვისას ალაჰის ნაცვლად ხშირად ღმერთს ახსენებენ. იციან ქართული შელოცვები, ღმერთს, ზღაპრები. მურღულის და დევსქელის ხეობაში ძველბურ მრავალხმიან სიმღერებსაც მოიხმენ კაცი.

ართვინში XIX საუკუნის 70-იან წლებში აქ მუსლიმანებთან ერთად ცხოვრობენ სომეხი გრიგორიანელები და კათოლიკეები. ქალაქში ხუთი მეჩეთი, ოთხი კათოლიკური და ერთი გრიგორიანული ეკლესიაა. ქართული ლაპარაკი ქალაქში იშვიათია, სამაგიეროდ, გარეუბნებში ყველა ქართულად ლაპარაკობს.

ართვინელთა და საზოგადოდ, სამუსლიმანო საქართველოს სომეხ მოსახლეობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ქართველთა გასომხების შესახებაც. ქრისტიანობის შენარჩუნებისკენ მიწრაფვა ერთი მხრივ და მეორე მხრივ ოსმალების განსაკუთრებული დამოკიდებულება სომხური ეკლესიის (როგორც გრიგორიანული, ასევე კათოლიკური) მიმართ (რაც, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, სომეხებს პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებდა), ასევე სომხური ეკლესიების აქტიურობა განაპირობებდა ჩვენებურთა ერთი ნაწილის თანდათანობით გასომხებას.

კარლ კოხი, რომელმაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ორჯერ (1836 და 1843-44 წლები) იმოგზაურა კავკასიაში, ადასტურებს კავკასიაში ქართველთა გასომხების ფაქტს და აღნიშნავს: „სავაჭრო საქმეს ჩვეულებრივ, ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომეხები იწოდებიან. ისინი უმთავრესად ართვინში ცხოვრობენ”. კოხი მოგვითხრობს სამეფო გვარის მქონე ერთი გასომხებული ქართველის შესახებ, რომელსაც „ბოლომდე ვერ უარეყო ქართველობა”, მაგრამ მაინც სომხად მიიჩნდა თავი. ამ ისტორიის თემატური გაგრძელებაა უკვე XX საუკუნის დასაწყისში ნიკო მარის მღვდელის არტანუჯელი კათოლიკე სომხის, ამბარცუმას ამბავი, რომლის თქმითაც მისი წინაპრები ქართველები ყოფილან, თავად ქართული არ იცოდა. მაშამისს ქართულიც ცოდნია და სომხურიც, ბაბუამისს კიდევ სომხურისა არაფერი გაეგებოდა.

ჭოროხის აუზის ქართველთა გასომხების ამბავი კიდევ ერთი გულსაკლავი, ამავე დროს ვრცელი, რთული და ასე თუ ისე ცნობილი ისტორიაა. ამჯერად მე მხოლოდ იმაზე მითითება მინდა, რომ XIX საუკუნეში გასომხებულმა ქართველებმა ჯერ კიდევ იციან თავიანთი წარმომავლობის

შესახებ და ზოგი მათგანი ქართულადაც საუბრობს.

რაც შეეხება საკუთრივ კლარჯეთს (ამ შემთხვევაში, ვიწრო მნიშვნელობით, ამ ტოპონიმის ქვეშ ვგულისხმობ ტერიტორიას ლივანას, შავშეთსა და იმერხევს შორის, არტანუჯის გასწვრივ ართვინამდე), აქ ქართული ენა ბევრგან დაიწვევებული აქვთ. ზაქარია ჭიჭინაძე მხოლოდ ათობდა ე სოფელს ასახელებს ქართულის მცოდნეს (მათ შორის ანას, ანაკერტს და სხვ.). უფრო ოპტიმისტურია კოწია მაჭავარიანის ცნობა, რომელიც 84 სოფელს ჩამოთვლის, მაგრამ ეს ინფორმაცია გადაჭარბებული ჩანს. საკუთრივ თორმეტ სავანეთა მხარეში, როგორც ვთქვი, ქართულის ნაშთებსა თუ წააწყდებოდა კაცი. მშობლიური ენის მცოდნე თითქმის ჩამოსათვლელი გახლდათ და ეს ცოდნაც ძირითადად შერეული თურქულ-ქართულით მეტყველებას ნიშნავდა.

არტანუჯი ძირითადად სომეხობითაა დასახლებული. შესაძლებელია, ბევრი მათგანი გასომხებული ქართველიც იყოს. მიმდებარე სოფლებში სულ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. „დროების” კორესპონდენტის გადმოცემით, ქართული ენა არ იციან, მაგრამ

ახსოვთ, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. ისიც იციან, რომ ქრისტიანების შთამომავლები არიან.

სომეხთა რიცხვი შავშეთში მცირეა (900-მდე). ისინი შავშეთის ოთხ სოფელში ცხოვრობენ, აქვთ სამი კათოლიკური და ერთი გრიგორიანული ეკლესია. ეს სოფლებია: სათლე, ოქრობაკეთი, ფხიკიური, მაშანელი. ამ სოფლებში სომეხებმა, შეძლებისდაგვარად, ქართული ენა იციან. მოსალოდნელია, რომ თუ ყველა მათგანი არაა, გარკვეული ნაწილი მაინც რელიგიურ ნიდაგზე გასომხებული ქართველი იყოს.

ერთობ ჭრელი სურათია სამცხე-ჯავახეთში. აქ ცხოვრობენ ქართველი ქრისტიანებიც, მათ შორის მართლმადიდებლები, რომლებიც თურქობის დროს ფარულად ქრისტიანობდნენ, და კათოლიკეები. ამ უკანასკნელთა შორის ბევრი, როგორც აღვნიშნეთ, გასომხებულია. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქართველი მაჰმადიანია. მათ დიდ ნაწილს მშობლიური ენა დაიწვევებული აქვს. ჯავახეთში, სამცხესთან შედარებით, ნაკლები მაჰმადიანია დარჩენილი და ვინც არის, მათი უმრავლესობაც გათურქების გზას ადგას.

ნახასხლა სომეხები), რომლებმაც შეავიწროვეს ქართული ენა.

უარესი მდგომარეობაა ყარსში. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ყარსის თემში 1877 წელს 170 ათასამდე ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა, XIX საუკუნის ბოლოსთვის კი ამათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულა, ძირითადად, მუჰაჯირობის მიზეზით. ვინც დარჩა, იმათშიც ქართული ენა დაიწვევება მისცემია, გაქრობის პირასაა ტოპონიმებიც. ალაგ-ალაგ შეიძლება მოისმინო ბუნდოვანი გადმოცემები თამარ მეფის შესახებ, რომელსაც აქაურები თავიანთი წინაპრების მეფედ მიიჩნევენ.

XIX საუკუნის ერუშეთსა და ოლთისშიც ქართული ენა არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლის. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ოლთისის ოკრუგის სოფლებში - ფანასკერტში, ანხაუში, მაიკოში ქართული ენა ძირითადად მხოლოდ მოხუცებულებსა და უფრო ქალებს, ვიდრე მამაკაცებს.

რაც შეეხება ტაოს იმ ნაწილს, რომელიც XIX საუკუნეში არ მოქცეულა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, უნდა ითქვას, რომ ინფორმაცია ამ რეგიონის შესახებ მწირია. 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა



იმერხეველი გურჯები. სოფ. სვირევანი

ჩამომავლობა კარგად ახსოვთ. ისიც იციან, რომ წინათ ქრისტიანები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოსკენ შავშეთში მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართულია. ქართველები მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენენ.

ქართულად კარგად ლაპარაკობენ თითქმის მთელ იმერხევში, პრაქტიკულად ყველა სოფელში. მხოლოდ ყვირდალას ხეობის სათავისკენ, ასევე საკუთრივ იმერხევისწყლის ზემო წელში - დიობანში, შოლტისხევსა და წყალსიმერში უჭირთ.

საკუთრივ შავშეთში, იმერხევს მიღმა, მხოლოდ რამდენიმე სოფელში ახსოვთ ქართული. ეს სოფლები შავშეთის ჩრდილოეთითაა და ზოგჯერ მათ იმერხევსაც მიაკუთვნებენ. ეს სოფლებია: გარყილობი, ჯუარები (//ჯუარები), შავიშთა, წითურეთი, ახალდაბა, სინკოთი.

ამდენად, თუ იმერხევს არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვთქვათ, რომ საკუთრივ შავშეთში ქართული ენა აღარ ახსოვთ უკვე XIX ს. II ნახევარში.

მთელ შავშეთში მაჰმადიან ქართველებს (იმათაც, ვინც ქართული ენა დაიწვევა) კარგად

ქართველი მაჰმადიანია არტაანის მცხოვრებთა უმრავლესობაც ზოგიერთ ხეობაში გურჯებსაც უწოდებენ თავს, თუმცა ქართული ენა თითქმის აღარ იციან და საკუთარი ქართველობის თამარ მეფის მეტი აღარა ახსოვთ რა. ერთადერთი სოფელი, სადაც ჯერ კიდევ ისმის ქართული, ველოა. ველი ქართველ კათოლიკეთა სოფელი იყო. იქ XIX საუკუნემდე ჩვეულებრივად საუბრობდნენ მშობლიურ ენაზე. ველელები სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებულან და ზემოთხსენებული მიზეზების გამო გასომხებულან. მიუხედავად ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, არდავანის ოკრუგში მისი ექსპედიციის დროს, 1902 წელს, ველში ქართული ენა ისმოდა.

ჩილდირში (ჩრდილში) XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ახსოვდათ ქართული ენა, თუმცა, მალე მოისპო. ამას ხელი შეუწყო ჯერ ერთი მუჰაჯირობის პირველი ტალღა 1830-იან წლებში, მეორეც, ოსმალებიდან გადმოსახლებულმა სომეხებმა (როგორც ცნობილია, ეს მხარეც 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით შეიერთა რუსეთსა და სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, აქაც

ამ მხარეში. იგი ვერდნობა ზოგიერთი რუსი სამხედრო პირის ინფორმაციას, ამასთან, შენიშნავს, რომ რუსების მიერ შეკრებილი ცნობები სრულფასოვნად ვერ ჩაითვლება: „მცხოვრებნი ყოველთვის არ ამხელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ. ამას გარდა, მამაკაცები, მეტადრე რუსის მოხელენი, დედაკაცებს ვერ ნახულობენ, ოჯახებში ვერ ჩაიხედავენ, სადაც უფრო დაცული არის ქართული ენა. ზოგჯერ არც ეკლესიის შესახებ აწვდიან ცნობებს...”

ექვთიმე თაყაიშვილი ასახელებს სოფლებს, რომლებშიც ქართული იციან. უპირატესად, პარხლისწყლის ხეობაში, აგრეთვე, ჭოროხის პირას. იგი წერს: „ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის მიერ შეკრებილი ცნობებით და ნამეტნავად, იმ ცნობებით, რომელიც გადმოგვცა ალ. სტ.-მე მატიასევიჩმა, სოფლები, რომლებშიც ყველა ქართველად ლაპარაკობს, არიან შემდეგნი: კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ხუმხალი, ბაღხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანისხევი, კირვანისი, ოთხთა ეკლესია (დორთქილისა), და ბინათი... ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაღალ ზე-

კარზე (უღელტეხილზე), იშხნის მახლობლად (სოფელი იშხნის სამუხტროში შედის), სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის ჩილჩიმი, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია ჭიჭიმი.”

რაც შეეხება გურჯების ქართულის ზოგად სახეს, პროფ. მაია ფადავა ზემოსხენებულ სოფლების ჩვენებურთა მეტყველებაში გამოყოფს შავშურ, კლარჯულ და ტაოურ დიალექტურ ერთეულებს. ყველა მათგანი განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას. აღნიშნული კილოები ენათესავენ ერთმანეთს და მათ შემოუნახავთ ბევრი საერთო ნიშანი უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ანალოგიური ვითარება იქნებოდა XIX საუკუნეშიც, ცხადია, მაშინდელი ვითარების გათვალისწინებით, ამ ჩამონათვალს უნდა დავამატოთ აჭარული, მესხური და ჯავახური დიალექტები. ამასთან, თურქულის გავლენა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასე ღრმა და ყოველს მომცველი.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ თანამედროვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. ქართული ენა იციან მხოლოდ იმერხევის ორმოციოდე სოფელში (19 სამუხტრო), ლივანისა და მურღულის ორმოციოდე სოფელში, ზედა მაჭახლის ექვსივე სოფელში (მაჭახელი დღემდე ითვლება ჩვენებურებში ქართველობის ეტალონად) და ტაოს სამ სოფელში. ამდენად, მთელს ტაო-კლარჯეთში, დაახლოებით 13000 კვ. კმ. ტერიტორიაზე ქართული ოთხმოცდაათამდე სოფელშია იციან (ლაზეთს არც ამჯერად ვგულისხმობ). ეს არის და ეს უნდა შევნიშნო ასევე, რომ მექართულე სოფლების ზუსტი რაოდენობის დასახელება ჭირის, რადგან იქაური ადგილობრივი მართვის ორგანო სამუხტრო ზოგჯერ აერთიანებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტს და ამ პუნქტებს როგორც ადგილობრივები, ასევე მკლევარები ხან ერთ, ხან რამდენიმე სოფლად მიიჩნევენ. გარდა ამისა, ზოგჯერ ერთის სოფლის უბნები (მეკვლევი) ხეობაში ისეა გაფანტული, ზოგიერთი ავტორი მათ დამოუკიდებელ სოფლად ასახელებს და არა უბნად (მე ვსაუბრობ ისტორიულ ქართულ პროვინციებზე და ამიტომ მუჰაჯირობის ქართულს აქ არ ვუბნები). კიდევ უფრო გულისმომცველი ისაა, რომ ამ სოფლებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ქართულად მეტყველებენ მხოლოდ საშუალო ასაკს გადაცილებულნი, იშვიათად - ახალგაზრდებიც. ზემოსხენებულ ხეობებში დღემდე წააწყდები მოხუცებს (უფრო ქალებს), რომლებიც მხოლოდ ქართულ ენას ფლობენ; აგრეთვე, საშუალო ასაკის გურჯებსაც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სკოლაში წასვლამდე მხოლოდ ქართული ენა იცოდნენ. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად, ენის მცოდნე ბოლო თაობა ცხოვრობს იქ. ბავშვებმა და ახალგაზრდების უმრავლესობამ თითქმის აღარ იციან წინაპრების ენა. იმედად ისღა რჩება, რომ, ჩემი აზრით, ვინაც ახსოვს „წინათ ქართველები ვიყავით”, ვის ცნობიერებაშიც ქართველობა ბუტბავს მაინც, იგი ჯერ კიდევ ქართველია და მასში ყოველთვის იარსებებს ძალა და შესაძლებლობა ჩამხმარ ფესვებზე ახალი ფლორტების აღმოცენებისა. ამის კონკრეტული მაგალითები დღესაც არსებობს. ამასთან, ჩვენი ხომ იმდენად მცირერიცხოვანი ერი ვართ, დასაკარგავ-გასაწირად გასამეტებელი აღარავინ გვყავს.

(გაგრძელება იქნება)

ახალი წიგნები

დაიბეჭდა ისტორიკოს ჯაბა სამუშიას საინტერესო ნაშრომი: „თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება“.




გადმოგვცემს თამარის ცხოვრება-მოღვაწეობას და მიხანშეწოდებას მიხანის საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით გელათში მოეწიეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

გამოიცა გაზეთ „აჭარას“ რედაქციის მიერ მომზადებული მონოგრაფია



წიგნი ხერხიდან „დრო და ადამიანები“. მასში შესულია წერილები აჭარაში სხვადასხვა დროს მოღვაწე პირთა შესახებ.

დაიბეჭდა თმარ შურლიას დამხმარე სახელმძღვანელო „მცირე ბიზნესის საფუძვლები“ (თეორია, პრაქტიკა, გამოცდილება). ავტორი გვესაუბრება მეურნეობის გადოლის, ქართული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.



თითოეული საკითხი განიხილება ისტორიულ ჭრილში ქრონოლოგიისა და თანამედროვეობის პრინციპის დაცვით. საკუთარი აზრების განსამტკიცებლად ავტორი იყენებს, როგორც საისტორიო, ისე მხატვრულ ლიტერატურას. პირადი კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინი გვხვდება „მუშაინის წამებაში“, ხოლო ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მტკიცდება, რომ საკუთარი სანუკარს უკავშირდება. ავტორი მიიხვედრება, რომ მათე საუკუნისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა საკუთრების ინსტიტუტი. წიგნში ავტორი იძლევა ისტორიულ ყოფაში დამკვიდრებულ საკუთრების აღმნიშვნელი სიტყვებისა და მცნებების ფუძე-წარმოშობის თაობაზე.

გრამატიკულ ანალიზს.

ავტორი აკადემიურ დინეზე წარმოაჩენს ქართველი მეურნის ფსიქოტიპს, კერძოდ მის დუალიზურ ხასიათს, რომელიც ერთის მხრივ თავის წილ სამკვიდროს ფლობდა და მეორე მხრივ სასოფლო მიწით სარგებლობის უფლებასაც იტოვებდა. განსაკუთრებული კერძო მესაკუთრული ინსტიტუტით ყოფილან ცნობილი ქიზიყები. მკვლევარი რუსეთის ისტორიიდან მოტანილი მაგალითების (კოლმეურნეობა, ობშინა). მოშველიების საფუძველზე ასკენის, რომ საკუთრების განსაზოვანების იდეა რუსი ხალხის ფსიქოლოგიური წყობის შედეგია. ამიტომაც, რომ დღესაც რუსი ხალხის დიდი ნაწილი კოლმეურნეობების გაუქმების წინააღმდეგია. წიგნში მკვლევარი წარმოაჩენს ქართული ბიზნესის პუმინისტური ტრადიციების დირსეულ წარმომადგენლებს: მძებ ზუბადაშვილებს, გიორგი ქართველიშვილს, დავით სარაჯიშვილს, მიტროფანე ლაღიძეს და ა.შ. ბიზნესმენი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე ძირითადად ეფუძნება ქრისტიანულ პრინციპებს: „არ იტყოფ“, „არ იქურდო“, „არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ“, „მოექცე სხვებს ისე, როგორც გინდა შენ მოგექცენ“. ასევე ავტორი წიგნში გვესაუბრება ბიზნესმენის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზებს.

მე 20 საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში ბრძოლამ კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ შეიწირა ნიჭიერი მეწარმეები. აღნიშნული ნაშრომი გასათვალისწინებელია იმითაც, რომ ყოველ შესასწავლ თემასთან ახლავს დასკვნა, კითხვები თვითკონტროლისთვის, საღისეკუსო საკითხების თემატიკა, საკურსო ნაშრომების თემატიკა და დასამუშავებელი ლიტერატურის სია. წიგნს თან ერთვის მცირე განმარტებითი ლექსიკონი.

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო მურად მთვარელიძის ორი საინტერესო ნაშრომი: „ქრონიკები ტიციან ტაბიძის ცხოვრებიდან“ და „ყოფიანები“.



„ყოფიანები“ ისტორიულ ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებია. ავტორი გვესაუბრება მეორე დემეტრე თავდადებულად წოდებული დიმიტრია ყიფიანის შესახებ და ასევე ზოგად და ყოფიანების გვარის ღირსეულ ადამიანებს. ყოველმან ქართულ ცხოვრების წესად უნდა აქციოს წმინდა დიმიტრის შეგონება და პირდაპირ და თამამად გამოთქვას მისი აზრი, მეტად რე მასინ, როდესაც ამის შესახებ მას კეთილგანაზი. წიგნში ავტორთან ერთად მკითხველი ეზიარება დიმიტრი ყიფიანის „სულის სკოლაში“ ჩამოყალიბებული ზნეობისა და გმირობის საოცარ გაკეთილებს. დიმიტრი ყიფიანის ზნეობის გაკეთილის მთავარი არის მღვდლმარცობს იმაში, რომ მხოლოდ ღირსეულმა შეიძლება პატივი მიაცოს ღირსეულს. ილიას გამოთქმით დიმიტრი ყიფიანი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა პოსტრატა მისი გული ამბობდა არას. ძნელია ამაზე უკეთესად ითქვას ადამიანის ღირსების შესახებ. ღმერთის რჩეულმა ზვარაკად შეეწირა საკუთარ ერს და ამით ქართველს სამშობლოსთვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითი დაუტოვა. ნათქვამია კვიცი გვარზე ხტისო დიმიტრი ყიფიანის ღირსეული შთამომავლობა დარჩა.

მურად მთვარელიძის მეორე წიგნი „ქრონიკები ტიციან ტაბიძის ცხოვრებიდან“ ერთგვარი ვაგარძელეაა ნინო ტაბიძის ნაშრომისა „ტიციანი და მისი მეგობრები“. წიგნი სკითხვისას თვალწინ ცოცხლდება ტიციანის დროინდელი და თბილისელიები. ტიციანმა ცისფერყანწვლებთან ერთად საკუთარი თბილისი შექმნა, რადგან იგი მათი სულის ნაწილი იყო. მათ ბედნიერება მოუტანეს თბილისს. თბილისი გახდა პოეტების ქალაქი. ცისფერყანწვლთა ახალი თაობა ახალ იდეებს ამკვიდრებდა. წიგნში ერთმანეთს ავსებს ცისფერყანწვლთა სასიყვარულო ინტრიგები, ბოჰემა და შთაგონება, რომანტიკული საღამოები, პოეზიის რანდთა პაექრობანი და შენც მათთან ერთად იმ საოცარი გარემოს მონაწილეობა მიეღო წინასწარ პაოლოს, გოგლას, ტიციანს, აქ პოეზია ქართულად როკავს.



დამიჯერე მკითხველო ამ წიგნის წაკითხვით არ წააგებ და კარგი სასიამოვნო წუთები გელის პოეზიის სამეფოში. ამ ქვეყნის შედგენილი სიამაყით გვესება, როდესაც გვეულობთ თუ როგორი პროტესტის გრძობით შეხვდნენ ცისფერყანწვლები ოსმალების მიერ ახალციხის და ბათუმის დაკავებას. ვალერიანი იმ დროს პარტიოტული გრძობით მოუწოდებდა თანამემამულეებს: „მაშ, ძმებო, ერთად გავეწიროთ თავი ნუთუ გვიტყუნებს ბედი მასხარა ან გამარჯვება და ან საფლავი მტერს შეგებრძოლოთ, თოფები ჩქარა“.

პაოლოც არ დარჩა ვალში და მის ლექსში გამოხატა თავისი გულისხმიანება ბათუმის დაცემის გამო: „ბათუმის ცაზე მე ვუმხერ ყვავებს ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა გაშალეთ მზეზე პრილა ხმლები ან დაიბრუნოთ ჩვენი აჭარა ანდა ბათუმთან დაგტოვოთ ძელები“.

ეს ამბავი ტიციანმა თავისი დაბადების დღეს ეროვნული ტრადიციის ფონზე წარმიდგინა და ბათუმის უძღვანა ლექსი „ორი აპრილი“: „ბათუმი მისცეს და ორიპრზე მოდის თათარი, ატმის ყვაელით სისხლიანი სტირის აპრილი, ყვითელ სატურნის უბელობით ავად გამხდარი, პოეტის სულიც საქართველოს კეზად დაბრილა“.

ცისფერყანწვლები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე საქართველოს ერთიანობის იდეის დაცვას ემსახურებოდნენ. ისინი მაცრად იცავდნენ ქართლის ცხოვრების მთავარ კანონს „არავის ვეყმით, არცა ვეყმით, გარეშე ღვთისა და მამაღვბლისა“.

ნარშადი წიგნები

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო რვაჯ კვერენხილიაძის ორი წიგნი საბუთები დღეადღებენ და „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურა“. რვაჯ კვერენხილიაძე წლები ცხოვრებაში გაწვდილი იყო ქართული მწერლობის განვითარებისთვის. „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურის ისტორია“ (თ. კვიციანი) წიგნი ახლავს ქართველი მწერლების შემოქმედებით და მათი მიზნობრივი განვითარების შესახებ. ღმერთის რჩეულმა ზვარაკად შეეწირა საკუთარ ერს და ამით ქართველს სამშობლოსთვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითი დაუტოვა. ნათქვამია კვიცი გვარზე ხტისო დიმიტრი ყიფიანის ღირსეული შთამომავლობა დარჩა.

კის გამგედ. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები მწერლობასა და მწერალთა შემოქმედებით ორგანიზაციის ისტორიაზე. განსაკუთრებული სიბრძნეა და სინანულის გრძობა გეუფლება, როცა ეცნობი საბჭოთა პერიოდის დროინდელ სისხლიან ქრონიკებს, სადაც საუბარია უდანაშაულო ადამიანების დასჯასა და გასახლებაზე. ასეთი მწერ ბედის მქონე ადამიანებს შორის წიგნში დასახელებულია ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი იური ბიბლიევი. ქართველი მწერლები ზვიად გამსხურდიას მწერალთა კავშირში ყოფნა-არყოფნის საკითხს იხილავდნენ და ამ დროს კონსტანტინე გამსხურდიას საბჭოთა ხელისუფლები-სადეოლოგიურ დამოკიდებულებაზე მსჯელობდნენ, რის დამამტკიცებელ საბუთად იშველიებდნენ კონსტანტინეს სიტყვებს: თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, ჩემთვის დიდ მწერლობასთან წილნაყრობა არ შეიძლებოდაო.

კითხულობთ მწერალთა კავშირის სხდომის ოქმებს და ჩვენდა უნებლიეთ გვიჩნდება კითხვა თუ რა ან ვინ აიძულებდა გათხრეულ ქართველ მწერლებს მონაწილეობა მიეღოთ წინასწარ დადგმულ სექტაკლში. საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით სხვისი გაწირვის, სხვისი საღამო საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების და რაც მთავარია შიშის გრძობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰკლავდა ადამიანთა პროტესტის ხმას. საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირება აღიქმებოდა, როგორც ქართულ მწერლობასთან დაპირისპირება. ქართველი მწერლები უფროსების გასაგონად ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ მწერალთა კავშირი ეს არის თანამოაზრეთა კავშირი. წიგნში მკითხველი ბევრჯერ კიდევ უცნობ ღოკუმენტურ მასალას გაეცნობა.

სამეცნიერო პრეზუმი

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო 2010 წლის 9-12 ნოემბერს თბილისში გამართულ კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესის მასალები, რომლის თემა იყო კავკასიური ცივილიზაცია-ისტორია და თანამედროვეობა. სამეცნიერო კრებულში დაბეჭდილ სტატიებს გაზეთის მომდევნო ნომერში გაგაცნობთ.

პრესა



გამოვიდა ქურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ №11 ჩვენი თანაქალი და ქალი ქალი ჩხარტიშვილი თავის წერილში გვიზიარებს თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის შედეგებს. ფესტივალზე მოეწიე ორი წიგნის პრეზენტაცია, კერძოდ აკაკი ვასაძის „მოკონებები, ფიქრები“ (ორტომეული) და მანანა ანთაძის მიერ შესრულებული ტენესი უილიამსის „კამინო რეაბილიტაციის“ თარგმანი. აღნიშნული პიესა მიხილ თუმანიშვილის სახელობის კინომახილობა თეატრის სცენაზე დადგა ბრიტანელმა რეჟისორმა ჰილარი ვუდმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქუთაისის თეატრის სექტაკლმა „რომეო და ჯულიეტა“ და ბათუმის თეატრის სექტაკლმა „ბანანისა და კომპის პუდინგი კინიაკითა და რომით“. დავით ანდრიაძე განიხილავს თენგიზ აბულაძის კინოფილმ „მონანიებს“ და მას თვლის პერსონალიზაციის ეპოქის კინო ზღაპრად კლდეტურად ინსცენირებად.

ქეთი დიდიშვილი წერილში „ხორუმი“ გვესაუბრება ქართულ ცეკვაში მის მიერ დანახულ ისეთ ნიშნებზე, როგორცაა სიფრთხილე, წინახედულება, გონიერება, სტრატეგიული ტაქტიკა, სიამაყე, სინაუქე, მოქნილობა, ვაჟკაცობა, თავგანწირვა, მეთაურის მორჩილება, წესრიგი და შეთანხმებული მოქმედება.

ნატალი ვოლჩენკო თავის წერილში ყურადღებას ამახვილებს დავით ანდრიაძის ფენომენზე. დავით ანდრიაძემ თავისი პედაგოგიური გამოცდილება, საშემსრულებლო ვოკალურ ესთეტიკური ტრადიციები, მაღალი ვოკალურ-ტექნიკური კულტურა გადასცა თავის აღზრდილებს ზურაბ ანჯაფარიძეს, ზურაბ სოტკილაძეს, ნოდარ ანდრიაძეს.

ღვლაწი ვიფურია წერილში „ჯაყოს ხიზნების“ ინტერპრეტაცია ციხისათვის განიხილავს ბათუმისა და ქუთაისის თეატრის სცენებზე დადგმულ საქართველოს და წარმატებულად თვლის თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სექტაკლს. 1934 წელს მიხილ ჯაყახიშვილის „ჯაყოს ხიზნები და კვაკავკასიონი“ გახალხურდა. ჯაყო ერთნაირად საშინაო ყველა ეპოქაში. დღევანდელ ჩვენს ეპოქაში უხვეო ჯაყომ ადგილი შეიცვალა და უბრალოდ გადმოხდა ურმიდან მერსედესში. წერილის ავტორი მიიხვედრება, რომ რომანში გამოყვანილი ოსი ეროვნების ჯაყო კრებილია კახა და ის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ალგორითია. მომალადის თემა კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

შიაა მერკველად თავის წერილში გვამცნობს სიმღერა „სულიკოს“ ავტორს ვარინკა წერეთელს. მეორე მსოფლიო ომის დროს სულიკო ბულგარულ პარტიზანთა საბრძოლო ჰიმნი იყო იგი ამ ფაქტს უკავშირებს ქართველ მეფე-ოღონე ილიკო ქურხულის სახელს, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში ბულგარეთში ცხოვრობდა და იქ მუსიკალურ სკოლაში ქართულ სიმღერას ასწავლიდა. „სულიკო“ ძალიან მოდამო ყოფილა ამერიკაშიც. ნოდარ ტაბიძე განიხილავს ნანი თარხნიშვილის ერთტომეულს „დაზამირებამდე“. პოეზიისა და პროზის განყოფილებაში წარმოდგენილია მერაბ შათირის რომანი ღვლაწი ვიფურია, ნათელა ნაკუდაიძისა და თამაზ ბოდონაძის მოთხრობები, ნუნუ ბოდავაძის, მარიკა პარნასელის, მაია ცეცხლაძის ლექსები.

დაიბეჭდა მართლმადიდებლური ქურნალ „კარიბჭის“ №22, რომლის თემატიკაა ტიციანი. საეკლესიო წესდებათა წიგნი განკუთვნილია მღვდელმსახურისა და მრევლისათვის. ქურნალში დაბეჭდილ წერილებს განიხილავთ გაზეთის მორიგ ნომერში.

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო კვირის პალიტრის ლიტერატურული დამატება №10, მასში შესულია ჩვენი თანაქალი ქველას ახალაძის მიერ შესრულებული გიდე მოპასანის „ქალის აღსარება“ თარგმანი. დრამატურგიაში წარმოდგენილია ოთარ პეტრიახის პიესა „საუკეთესო მოღველი“ სადაც არმოსაწონია ბილწისტყვეობა და ისტორიულ პირთა სახელების აუკად მოხსენიება. პოეზიისა და პროზის განყოფილებაში წარმოდგენილია დავით ქართველიშვილის ირმა არჩუაშვილის, ზვიად კვარაცხელიას და სხვათა ნაწარმოებები.

რედაქტორი იოსებ სანიბიძე საქვიალისტაბი: ნუსტან მაგუზაბი თაბილა აბაშიძე



სარედაქციო კოლეგია: იური ბიბლიევი, ბიჭიკო ღიანაშიძე, მამია ვაღავა, ნანა ცეცხლაძე, მერაბ მებრელოვი. დაიბეჭდა სს „პოლიგრაფისტი“ ზ. ბორბილაძის 91 7-59-10; 7-59-11